ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„პლეხანოვზე თურქული რესტორანი თუ არ მოგწონს, შენ გააკეთე უკეთესი, დაგიშალა ვინმემ?!“



გვ.5

თორნიკე შარაშენიძე: „ვიზალიბერალიზაციის დაკარგვა ჯერ არ გვემუქრება“

8 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი ტომი 6-7




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

შაბათი – კვირა, 10 – 11 თებერვალი, 2018

№34 (7579)

ფასი: 50 თეთრი

# „ჩაის ვსვამდი და ჩემთვის ტომრის ჩამოცმა სცადეს“



გვ.2

კიევში სპეცრაზმმა სააკაშვილის დაკავება სცადა

## დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში სტრასბური შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს“



გვ.2

## „ჩვენს ყოფილ სტრიპტიზ მერს შანსები არ აქვს“

„ქურდული მენტალიტეტი ნამდვილად არ არის დაძლეული“



გვ.4



გვ.3

## „საქართველოში ჰაერი კლავს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ჰაერის დაბინძურების კუთხით მსოფლიოში პირველ სამეულში შევდივართ“



გვ.5

## ივანიშვილის ფულის მითვისების გამო Credit Suisse-ს ექს-ბანკირს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

## პაატა ბურჭულაძე: „სიკეთე დასჯადია“



გვ.3

ეკონომიკა გვ.6

თეიმურაზ უბილავა: „გოგი, არ გაბედო ბადაგონის ქარხნის გაჩერება!“



„მერიისა და გამგეობების მიერ დეკემბრიდან ყველა ტენდერი აუქციონის გარეშე ჩატარდა, რითაც სახელმწიფომ 20 მლნ ლარი დაკარგა“




გიორგი ჩოგოვაძე: „ქვეყანაში ტურიზმის მიმართულებით 200 ათას ადამიანამდეა დასაქმებული“



ISSN 1987-9385

3 მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნეს

4 აფგან მუხთარლი: „ჩემ გატაცებაში კვირიკაშვილი თუ არა, ივანიშვილი მაინც იქნებოდა ჩართული“

5 საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმს არღვევენ, სანქციები დაეკისრებათ

7 „ხალიფატთან“ ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა“

# „ჩაის ვსვამდი და ჩემთვის ტომრის ჩამოცმა სცადეს“

## კიევში სპეცრაზმმა სააკაშვილის დაკავება სცადა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კინაღამ აფგან მუხთარლის ბედი გაიზიარა. მისი მომხრეების და უკრაინული მედიის ცნობით, სპეცრაზმმა ოდესის ყოფილი გუბერნატორისთვის თავზე ტომრის ჩამოცმა სცადა.

ინციდენტი სასტუმრო აირმონტ რანდ ჩოტელ ჰყივ-ში მოხდა, სადაც ჩვენებური უცხოელ სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად იმყოფებოდა.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სპეცრაზმმა მიხეილ სააკაშვილი დააკავა. მოგვიანებით დაკავების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მისმა თანამებრძოლმა დავით საყვარელიძემ უარყო.

სასტუმროსთან, სადაც სააკაშვილი შეხვედრას მართავდა, მალევე მივიდნენ მისი მხარდამჭერები. ისინი სასტუმროს დაცვამ შენობაში არ შეუშვა. მათ დასამშვიდებლად ჩვენებური გარეთ გამოვიდა.

მხარდამჭერებს და მედიას სააკაშვილმა განუცხადა, რომ მის დასაკავებლად სპეცრაზმი მივიდა. გაირკვა, რომ სპეცრაზმელებს მის დასაკავებლად ორდერი არ ჰქონდათ და ისინი უკან გაბრუნდნენ.

— სასტუმროში ჩემს უცხოელ მეგობრებთან ერთად ჩაის ვსვამდი. ამ დროს ოთახში შეიარაღებული პირები შემოცვივდნენ. ისინი ჩემთვის თავზე ტომრის ჩამოცმას შეეცადნენ, — განაცხადა სააკაშვილმა.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის თქმით, მისი დაკავება უკრაინის სასაზღვრო უწყებამ სცადა.

— მათი მიზანია ჩემი ექსტრადირება, სწორედ ამიტომ სურდათ ჩემი დაპატიმრება, — უთხრა ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მომხრეებს.

მისივე ინფორმაციით, წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სპეცრაზმმა შენობა დატოვა, თუმცა ისინი სასტუმროს ახლოს განლაგდნენ.

— ვიცით, რომ მელოდება ჯგუფი, რათა დამაკავონ და უკრაინიდან ჩემი დეპორტაცია განახორციელონ. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მოიშოროს თავისი მთავარი პრობლემა, ანუ მე. თუ მე ვცდილობდი, მომეწყო სახელმწიფო გადატრიალება, მსოფლიოში ვინ უშვებს ქვეყნიდან ადამიანს, ვინც სახელმწიფო გადატრიალებას ცდილობდა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან უკრაინის ხელისუფლების მისამართითაც გააკეთა განცხადება და შეუთვალა, რომ არაფრის ეშინია.

— ქვეყანას მართავს ბარიგა, რომელიც იქცა კრიმინალად. ჩემი შეშინება შეუძლებელია, მით უმეტეს, ბარიგით, შეაშინეთ ბებიათქვენი, — მიმართა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა უკრაინის ხელისუფლებას.

სასტუმროსთან იმყოფებოდა რადას დეპუტატი იური დერევიანკოც. მისი განცხადებით, სპეცრაზმმა ტერიტორია მას შემდეგ დატოვა, რაც სასტუმროსთან „ახალი ძალების მოძრაობის“ ლიდერის მხარდამჭერები შეიკრიბნენ.



უკრაინული მედიის ცნობით, სააკაშვილის დასაკავებლად სასტუმროში სპეცდანიშნულების რაზმი „ალფა“ გააგზავნეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, მედიამ ვერ დაადგინა, რომელი ძალოვანი უწყების დავალებას ასრულებდა სპეცრაზმი.

„უკრაინსკაია პრავდას“ უკრაინის უშიშროების სამსახურში განუცხადეს, რომ სასტუმროში, სადაც, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი იმყოფება, სპეცრაზმი არ გაუგზავნიათ.

— სპეცრაზმ „ალფას“ სხვადასხვა ორგანოების მითითებების შესრულება შეუძლია, ის მხოლოდ უშიშროების სამსახურს არ ექვემდებარება, — განუცხადა „უკრაინსკაია პრავდას“ უშიშროების სამსახურის პრესმდივანმა.

„ალფასთვის“ მიცემულ დავალებაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ უკრაინის გენერალურ პროკურატურაშიც.

— სასტუმროში სპეცრაზმის გაგზავნასთან დაკავშირებით არაფერი ვიცი, — განაცხადა გენერალური პროკურორის წარმომადგენელმა ლარისა სარგანმა.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი ჩერნოლუცკი ამბობს, რომ ძალოვნებს მისი დაცვის ქვეშ მყოფის დასაკავებლად სამართლებრივი საფუძველი არა აქვთ.

ადვოკატი ამბობს, რომ სპეცრაზმის წარმომადგენლებმა სააკაშვილამდე ვერ მიაღწიეს.

— ისინი სასტუმროს დაცვამ შეაჩერა, — აღნიშნა ჩერნოლუცკიმ.

მისივე თქმით, „ალფას“ წევრებს არანაირი დოკუმენტი არ წარმოუდგენიათ.

— მათ სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურს ვერ წარუდგინეს ვერანაირი საბუთი. ასეთი საბუთი ბუნებაში არ არსებობს. არც ერთი მოსამართლე არ დათანხმდება სააკაშვილის ექსტრადირებას, — ამბობს ადვოკატი.

* * *

რამდენიმე დღის წინ სააკაშვილს შინაპატიმრობის ვადა გაუვიდა, რომელიც მას 26 იანვარს შეუფარდეს. უკრაინის გენერალური პროკურორი იური ლუცენკო ამბობს, რომ ოდესის ყოფილი გუბერნატორი გამოძიებასთან თანამშრომლობს და შინაპატიმრობა საჭირო აღარ არის.

მომავალ კვირას სააკაშვილს რამდენიმე სასამართლო პროცესი ელოდება. 18 თებერვალს კი ის გრანდიოზული აქციის მოწყობას აპირებს კიევში.

# დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში სტრასბური შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ექსტრადიციაზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, უკრაინის იუსტიციის მინისტრმა განცხადება გააკეთა, რომ ამ დროისთვის არანაირი ხელშემშლელი ფაქტორი არ არსებობს სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების, მით უფრო, რომ ეს მოთხოვნა საქართველოს გაკეთებული აქვს. ფიქრობთ, რომ შესაძლებელია სისრულეში მოვიდეს ეს განცხადება, მით უფრო, რომ წინ საპრეზიდენტო არჩევნებია?***

— არაფერი გამორიცხული არ არის. მით უმეტეს, განხილვას წინ არაფერი არ უდგას, მაგრამ აქ სხვა რამეა მთავარი. ვფიქრობ, უკრაინისთვის ძალიან სერიოზული პრობლემა იქნება, თუკი სააკაშვილის ექსტრადირებას განახორციელებს. შეიძლება მსგავსი განცხადებები გააკეთონ, მაგრამ რეალურ გადაწყვეტილებას რამდენად მიიღებენ, ეს არის მნიშვნელოვანი.

უკრაინის ხელისუფლება ამ შემთხვევაში კარგ დღეში არ აღმოჩნდება. ცხადია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ პოლიტიკური დევნაა. ადამიანის ექსტრადირება იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური დევნის საფრთხე არსებობს, ევროპული სტანდარტებით, სრულიად მიუღებელია. მე არ გამოვრიცხავ, რომ სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წესები ამოქმედდეს. სააკაშვილის ადვოკატებს ექნებათ არსენალში სტრაბურისთვის მიმართვა. სტრასბური კი ლოგიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან არ არსებობს სამართლიანი სასამართლოს არანაირი გარანტია.



აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ პრეზიდენტის ან ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება შეუძლებელია, არა, ყველაფერი შესაძლებელია, საუბარია იმაზე, რომ მთელი რიგი მონაცემებით, საქართველოში მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა ძალიან პრობლემური იქნება. სტრასბურის სასამართლო მიმართვის შემთხვევაში დაახლოებით ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებ, როგორც რუსთავი-2-ის შემთხვევაში მიიღო, ანუ შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს.

***— თუმცა, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი ექსტრადირებისთანავე საქართველოში მისი მომხრეები ხელისუფლებას დაასრულებენ. თუ ეს პოლიტიკური ამოცანა აქვს სააკაშვილს, მაშინ რა უდგას წინ?***

— პირველი, რას აცხადებს დღეს სააკაშვილი, ეს არის მისი პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი. მეორე, რა შეიძლება რეალურად მოჰყვეს მის საქართველოში ექსტრადირებას, ამის განსჯა და პროგნოზირება რთულია ჩემთვის. რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, მე მჯერა, რომ სტრასბურის სასამართლო შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს. თუ სტრასბურს არ მიმართავენ და სხვა გეგმა ექნებათ, ეს უკვე პოლიტიკური პროცესია, რომლის წინასწარ განჭვრეტა მე არ შემიძლია.

***— საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში რომ შევხედოთ, გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთოს სააკაშვილის ექსტრადირებისთვის?***

— არ მგონია, რომ მმართველი პარტია დიდად იყოს სააკაშვილის ექსტრადირებით დაინტერესებული.

***— რატომ?***

— არ იქნება ეს მისთვის მომგებიანი. მეტიც, დამატებითი პრობლემა იქნება და არ მგონია, ამ ვითარებაში კიდევ დამატებითი პრობლემა უნდოდეთ. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ყველაფერი გააკეთა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ამ ინსტიტუტს აზრი დაეკარგვოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტიდან ბევრი არაფერი დარჩა, ამ არჩევნებს მაინც ექნება სიმბოლური პოლიტიკური დატვირთვა. თუმცა, ფუნქციურად ძალიან შესუსტებულია და საერთოდ აღარ აქვს საქართველოში მნიშვნელობა, ვინ რა თანამდებობაზეა, ისეთ დღეშია პოლიტიკური სისტემა.

***— ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების წაგებას დაუშვებს?***

— არა, ამას ნამდვილად არ ვფიქრობ, მაგრამ თუ ეს არჩევნები წააგო ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი გამოშიგნულია, მაშინ ყველაფერი შეიცვლება. თუმცა, ცხადია, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების წაგებას არ დაუშვებს და ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ეს არჩევნები არ წააგოს. პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი იზამს ყველაფერს, რომ ეს არ მოხდეს და დემოკრატიული პროცესი საქართველოში ლოგიკურ დასასრულამდე არ მივიდეს.

რა ბერკეტები არსებობს საიმისოდ, რომ ეს არჩევნები მოიგოს ხელისუფლებამ: ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც სერიოზული ბერკეტია, იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებაში არის იმედგაცრუება, ნიჰილისტური განწყობები. უმრავლესობას არ მოსწონს ის ვითარება, რაც შექმნილია, მაგრამ აქტიურობა არ უნდა და ხელი აქვს ჩაქნეული. ასევე, ქართველ საზოგადოებას ყოველთვის ახასიათებდა შეჩვეული ჭირის სინდრომი. ამ ფონზე აქვთ იმედი, რომ კიდევ გაიხანგრძლივებენ ხელისუფლებაში ყოფნას.

***— სააკაშვილის ექსტრადირების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, კობახიძემ აშშ-ში უცხოელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ექსტრადირების შემთხვევაში სააკაშვილი დაკავებული იქნება. ამ თემაზე ხელისუფლებაში დისკუსია აქვთ, თუ რა ჯობია მათთვის?***

— ვისაც მათ შორის ჭკუა მოეკითხება, მათ მაინცდამაინც არ უნდათ ზედმეტი თავის ტკივილი. სააკაშვილის ექსტრადიცია ხელისუფლებისთვის ნამდვილად იქნება თავის ტკივილი. ჯერ ერთი, ამას მოჰყვება საპროტესტო ქმედებები, ყოველი ასეთი საპროტესტო ქმედება ხელისუფლებისთვის ხარჯია და პრობლემა, მსგავსი პროტესტები ხელისუფლებას არ აძლიერებს. თუმცა, მე არ მჯერა სასწაულების, რომ უცებ ხელისუფლება შეიცვლება ამის გამო. მეორე, დასავლეთიდან იქნება რეაქცია, რაც ასევე თავის ტკივილია ხელისუფლებისთვის. ამიტომ, ყველაზე მეტად აწყობთ, რომ უკრაინამ ეს ნაბიჯი არ გადადგას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში ჰაერი კლავს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ჰაერის დაბინძურების კუთხით მსოფლიოში პირველ სამეულში შევდივართ“

შორენა მარსაგიშვილი

რა საფრთხეებს უქმნის საქართველოს მოსახლეობასა და ბუნებას დიდი ჰესები, რა იწვევს საქართველოში ჰაერის დაბინძურებას, დგას თუ არა საქართველო ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

***– ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფიზიკურ პირებს სუნელების გაყიდვა აეკრძალათ. ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, მოსახლეობის ნაწილს არ სჯერა, რომ მთავრობა ამას მათზე ზრუნვის გამო აკეთებს. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ხელისუფლება რომ მართლა ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავდეს, ამას მხოლოდ მივესალმებოდი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მცირე მეწარმეებზე შეტევა უფროა, ვიდრე ხალხზე ზრუნვა. არც ის არგუმენტი გამოდგება, რომ სუნელების ხარისხზე კონტროლი დაწესდება. ჩვენ ვიცით უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი, სადაც დამზადებული საჭმლით არაერთი ადამიანი მოიწამლა.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ წვრილ მეწარმეებზე აქცენტის გაკეთება არასწორია. არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ტყვიით იყოს დაბინძურებული ის ნედლეული, რითაც სუნელები მზადდება. ხელისუფლება სუნელების მავნე მინარევებისგან დაცვაზე აპელირებს, მაგრამ ამის ნაკლებად მჯერა.

ხელისუფლება თუ მართლა ზრუნავს ხალხზე, მაშინ სურსათის უვნებლობასთან მიმართებით კონტროლის ხარისხი უნდა გაამკაცროს, მაგრამ ეს კონტროლი მარტო წვრილი მეწარმეებისა და ფერმერების მიმართ არ უნდა ხორციელდებოდეს. საჭიროა თანაბარი მიდგომა.

თავად მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა გაცილებით სერიოზულ ღონისძიებებს მოითხოვს და ეს მრავალი მიმართულებით უნდა განხორციელდეს – ნიადაგით დაწყებული, წყლითა და ჰაერით დამთავრებული.

***– ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მანქანების ტექნიკური დათვალიერება იგეგმებოდა. ამის გაკეთება გადაიდო.***

– მანქანების ტექნიკური დათვალიერება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ საქართველოში საშინლად დაბინძურებულია ჰაერი. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენთან არის მკვლელი ჰაერი. შემიძლია გავიხსენო საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშიც, რომლის თანახმადაც, ჰაერის დაბინძურების მხრივ საქართველო მსოფლიოში პირველ სამეულშია.

ჰაერის მთავარი დამბინძურებელი არის ტრანსპორტი. აქედან გამომდინარე, ტექნიკური დათვალიერება აუცილებელია. თუმცა მისი გადადების ახსნაც შეიძლება. მხოლოდ გადადება სოციალური კუთხით მძღოლებისთვის ვერ იქნება შემარბილებელი გარემოება.

სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და ამ პროცესის დასაწყებად კონკრეტული ხარჯი გაიღოს. უარი თქვან თავიანთი მანქანების განახლებაზე და მოსახლეობას, რომელსაც უჭირს, დაეხმაროს, რომ თავიანთი მანქანების ხარისხი გააუმჯობესონ.



ტექდათვალიერებაში ზედმეტად რბილი მოთხოვნებია ჩადებული. ხელისუფლებას საზოგადოების შეეშინდა და სამართლიანადაც. მარტო ხალხის ხარჯზე შეუძლებელია, ერთბაშად მოეთხოვათ ტრანსპორტის სრულფასოვანი აღჭურვა. ეს ბიუჯეტის დახმარებით უნდა გაკეთდეს, რომელიც მთავრობას საკუთარ ფულად მიაჩნია.

ტექდათვალიერება ეკოლოგიის გაუმჯობესების თვალსაზრისით დიდ შედეგს ვერ მოიტანს. შედეგისთვის ხელისუფლებამ თანხა უნდა გამოყოს, რის გაკეთებასაც ის არ აპირებს.

***– ამ ჰაერს ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხომ სუნთქავენ, რატომ არ უნდა უნდოდეთ ამ პრობლემის მოგვარება?***

– თავად ჰგონიათ, რომ ბევრი ფული აქვთ და იმკურნალებენ. მათ ძვირადღირებული საშუალებების შეძენა შეუძლიათ, მაგრამ ამ დაბინძურებულ ჰაერში სრულად არც მათ ჯანმრთელობას დაიცავს. არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის გადალახვა თუ მოხდა, ყველანაირი ფული უძლურია. ამ ეტაპზე ისინი ამაზე არ ფიქრობენ, იციან, რომ ხალხის ხარჯზე ძვირადღირებული მკურნალობის კურსს ჩაიტარებენ.

ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ ფული იმის გარანტია არ არის, რომ ისინი სიმსივნეს გადაურჩებიან, რომლის მთავარ გამომწვევადაც საქართველოში ჰაერი ითვლება.

გარემოს დაბინძურებაზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის საწარმოები, სადაც კატასტროფული ვითარებაა. ეს არის კაზრეთი, ჭიათურა, ზესტაფონი, ტყიბული. ადგილები, სადაც ეს საწარმოებია განთავსებული, თავისუფლად შეიძლება გამოვაცხადოთ ეკოლოგიური კატასტროფის ზონად.

საქართველოში გვაქვს ასეთი მოცემულობა – ადამიანები ოქროსა და შავ ოქროზე ცხოვრობენ. წესითა და რიგით, ისინი კარგად უნდა ცხოვრობდნენ, რეალობა კი სულ სხვაა – ეს ადამიანები უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობენ. მათ კაპიკებზე მუშაობა და სიკვდილთან შეგუება უწევთ. სიკვდილი ყველასთან მივა, მაგრამ აქ ნაადრევი სიკვდილიანობის რისკი გაცილებით მაღალია.

ეს საწარმოები იყენებენ მოძველებულ, წინა საუკუნის ტექნოლოგიებს, რაც კატასტროფის ტოლფასია.

***– სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება ამის კონტროლი?***

– ამ მიმართულებით კონტროლი ნულის ტოლია. ხელისუფლებას ურჩევნია, მსხვილ კომპანიებს წილებზე ევაჭროს. კაზრეთი ისედაც ამათ ხელშია. დღეის მდგომარეობით, ეს საწარმო ივანიშვილის თანამონაწილეობით არსებობს. ნაციონალების დროს სააკაშვილი იჯდა წილში.

საუბრის ცალკე თემაა, ვისი წილი ვისაშია, მაგრამ აქ უფრო მთავარი ის არის, რომ მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშეა. მათ კაპიკებს უხდიან და თან, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ იმეტებენ.

ძალიან სერიოზულ პრობლემებს მოიტანს ჰესები. ამაზე არაერთი დასკვნა დაიწერა, მაგრამ ქვეყანაში გაქანებული ჰესომანიაა. ხელისუფლება საქართველოს მთიანეთზე მორიგი შეტევის მიტანას გეგმავს.

***– შეტევაში რას გულისხმობთ?***

– საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, მათ მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტებიდან ნენსკრა-ჰესის ასაშენებლად კრედიტი მიიღეს. კრედიტის დამტკიცება არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროექტი განხორციელდება. ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი აცნობიერებს, თუ რა პრობლემებს მოიტანს ამ ჰესის აშენება. იმისთვის, რომ ვიღაცებმა ჯიბეები გაისქელონ, ჩვენი ბუნება არ უნდა განადგურდეს.

საქართველოს ბუნება მართლა განადგურების პირასაა – ხელისუფლება 150 ჰესის აშენებას აპირებს. ამ ჰესების პროექტები ენერგეტიკის სამინისტროს საიტზე იყო გამოქვეყნებული.

***– სად უნდა ააშენონ ამდენი ჰესი?***

– სადაც კი საშუალო მდინარე ნახეს, ყველგან ჰესის ჩადგმას აპირებენ. 150 ჰესიდან 128 დიდი ჰესი უნდა იყოს. ეს ყოველივე საქართველოსთვის არაფრის მომტანია. ელექტროენერგია ძვირდება და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

ამ ჰესების სიმრავლით ელექტროენერგია რომც იაფდებოდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნების გასანადგურებლად მოძველებული ტექნოლოგიები გამოვიყენოთ. ელექტროენერგია თუ უნდათ, შეუძლიათ, ძველი ჰესები შეაკეთონ, გამოიყენონ ქარისა და მზის ენერგია.

ევროპაში ბოლოს დიდი ჰესი 1977 წელს აშენდა, საქართველოში კი ახლა აპირებენ 128 დიდი ჰესის აშენებას. არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო პროგრამაში შავით თეთრზე ეწერა, არა დიდ ჰესებსო. მოვიდნენ თუ არა, ჰესების მშენებლობა დაიწყეს. ამით სერიოზულ ფულს შოულობენ კალაძე და ივანიშვილი.

***– ეს ჰესები რამდენად ხარისხიანად აშენდება? დარიალის ხეობაში ამათ მიერ აშენებული ერთი ჰესი სამჯერ წაიღო წყალმა.***

– არც კი მინდა წარმოდგენა, რა მოხდება, ამათ რომ ყველა ჰესი ააშენონ. ქვეყანა განადგურდება.

# მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნეს



სასამართლომ მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბ.კ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის იანვრიდან – 2017 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით, განზრახი დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბ.კ. მეუღლეს ს.ც.-ს ხშირ შემთხვევაში სხვა პირთა თანდასწრებით, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ამცირებდა, რის გამოც დაზარალებული ტანჯვას განიცდიდა. ასევე დადგინდა, რომ 2017 წლის 23 ნოემბერს, ქ. თბილისში მან მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ს.ც.-მ ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა განიცადა.

სამართალდამცველებმა ბ.კ. 2017 წლის 29 ნოემბერს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა გამოიწვია) ორ ეპიზოდზე წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ.კ. დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდების ორივე ეპიზოდში და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პაატა ბურჭულაძე: „სიკეთე დასჯადია“



ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოკითხვაზე ადვოკატთან ერთად მივიდა.

ცნობილმა საოპერო მომღერალმა დაწყებულ გამოძიებას „ისტორიული“ უწოდა.

– სიკეთე დასჯადია და უნდა გამოკითხონ ის ადამიანი და ის ფონდი, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

მისივე თქმით, „პროკურატურას იქით უნდა დავუსვათ კითხვები“.

პაატა ბურჭულაძის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მზად არის, პასუხი გასცეს ყველა შეკითხვას.

– არავითარი დარღვევა ფონდ „იავნანაში“ არ არსებობდა და არც დღეს არსებობს. ის, რომ გაფლანგვას ან მითვისებას აქვს ადგილი, გამომძიებლისგან არ გვსმენია და არც ბრალდება აქვს ვინმეს წაყენებული. ეს საქმე უნდა დაიხუროს, უნდა შეწყდეს და ეს იქნება ერთ-ერთი სასიკეთო ნაბიჯი, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

პროკურორის თქმით, საუბარია ფონდიდან მილიონამდე ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე.

– გამოძიებას კითხვები აქვს ფონდის დამფუძნებელთან და მის ყოფილ პრეზიდენტთან, დღევანდელ დღეს სწორედ ამ საკითხების ირგვლივ მოხდება მისი მოწმის სახით დაკითხვა, მაგისტრ მოსამართლესთან. გამოძიების ამ ეტაპზე ბატონი პაატა მოწმის სახით იკითხება, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

საქმე ეხება არაერთ ცალკეულ საკითხს, მათ შორის, მგზავრობის დაფინანსებას, კონკრეტული ქონების შეძენის საკითხის მიზნობრიობას, ასევე მიმდინარე ხარჯებს, რასთან დაკავშირებითაც გამოძიებას არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვა აქვს, – განაცხადა ჯვარშეიშვილმა.

# „18 წლის ახალგაზრდა მისივე თანატოლებმა დაჭრეს“



თვითმხილველთა თქმით, 9 იანვარს ვარკეთილში დაჭრილი 18 წლის ილო ფარცვანიაა. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა მისივე თანატოლებმა დაჭრეს. ფარცვანიას კლინიკა „ოპტიმალ მედიში“ ოპერაცია ჩაუტარდა.

თვითმხილველებმა ორი ბიჭი დაინახეს, რომლებმაც დაჭრის შემდეგ გაქცევა მოახერხეს.

– ბიჭი საკაცით გამოიყვანეს, ამბობენ, გადაჭრილი თოფიდან ესროლესო. ორნი ყოფილან, ამბობენ, თანატოლებმა დაჭრესო, – ყვება თვითმხილველი.

მისი თქმით, გასროლის ხმის გაგებამდე დაინახა, რომ 18 წლის ბიჭს ორი ახალგაზრდა მისდევდა და სადარბაზოშიც შეყვნენ.

– სულ ორი გასროლა გაისმა, რა დროსაც 18 წლის ახალგაზრდა ფეხში დაიჭრა, – აღნიშნა ადგილობრივმა.

მედიკოსების თქმით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, ილო ფარცვანიას მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება, რადგან საფანტიდან ესროლეს.

– რამდენია ჭრილობა, რამდენი საფანტი იყო, ამას თვითონ ექსპერტიზა დაადგენს, – განაცხადა კლინიკის დირექტორმა, გიორგი შათირიშვილმა.

დაჭრილი ახალგაზრდა იმ კორპუსში არ ცხოვრობდა, რომლის სადარბაზოშიც ის დაჭრეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ადგილობრივებმა გამოიძახეს.

დაშავებულის დედისთვის უცნობია მომხდარის დეტალები.

„სამსახურიდან მოვედი, ექიმმა დამირეკა, სხვა არაფერი ვიცი, – აცხადებს ილო ფარცვანიას დედა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 117-ე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და 236-ე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის მუხლით მიმდინარეობს.

# რუსთავში ქალი გარდაცვლილი იპოვეს

9 იანვარს რუსთავში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, 65 წლამდე ქალი გარდაცვლილი იპოვეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# თბილისში კვების ობიექტი გაქურდეს

თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, კვების ობიექტი გაქურდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩამსხვრეულია ობიექტის ფანჯრის მინები.

ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის თანხაა წაღებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.



# „ჩვენს ყოფილ სტრიპტიზ მერს შანსები არ აქვს“

## „ქურდული მენტალიტეტი ნამდვილად არ არის დაძლეული“

გულიკო ბალაძე

ყოფილი დეპუტატი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე საუბრობს.

***– თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს და ხალხს ჰპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს მათთვის. რაიმე პერსპექტივა აქვს უგულავას?***

– არანაირი პერსპექტივა არ აქვს. პარლამენტში სააკაშვილის უშუალო მომხრეები, რომლებსაც რომან გოცირიძე ხელმძღვანელობს, ცოტანი დარჩნენ. უგულავას დაჯგუფების რეიტინგი 3%-ია. თუ ვინმე უჭერს მხარს ნაცებს, ისევ და ისევ სააკაშვილის ფრთას. შესაბამისად, უგულავას, ჩვენს ყოფილ სტრიპტიზ მერს, ლოს ანჯელესში რომ დადიოდა ნაგვის მანქანის შესარჩევად, სინამდვილეში კი თავის საძმოსთან ერთად კაზინოებში თამაშობდა, პერსპექტივა არ გააჩნია.

***– თამაშობდა? მეგონა, სულ სხვა მიზნით დადიოდა.***

– მაშინ დაიბეჭდა კიდეც, ნაცების მთელი ჯგუფი რომ ჩავიდა, ლოს ანჯელესის კაზინოში ატარებდა დროს. გახსოვთ, ცოლი რომ წაიყვანა სამშობიაროდ ვენაში, მაინცდამაინც საპრეზიდენტო აპარტამენტებში ცხოვრობდა უძვირეს სასტუმროში, სადაც დღიური ხარჯები ბევრად აღემატებოდა მერის ხელფასს. იმასაც შეგახსენებთ, რომ მასთან ერთად იყო ნაცების მთელი შემადგენლობა: გია ბარამიძე, გიგი წერეთელი და სხვები გულშემატკივრების სახით ჩავიდნენ იქ და ყოველმა მათგანმა იქაც კი შავი ჯიპი იქირავა, რაც ჯდებოდა ათასი ევრო დღეში. აი, რასთან გვაქვს საქმე.

***– ის, რა რეიტინგი აქვთ ნაცებს საქართველოში, სააკაშვილის რეიტინგია?***

– ნამდვილად. ვთქვათ, რომან გოცირიძე რომ არ ყოფილიყო იქ და ბოკერია ყოფილიყო, მაინც იგივე რეიტინგი იქნებოდა.

***– გახარიას თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ძალიან გამწვავდა კრიმინოგენური ვითარება. ეს უბრალო დამთხვევაა მის მინისტრობასთან თუ რაიმე ხელოვნურადაც შეიძლება ხდებოდეს.***



– კრიმინოგენური ვითარების ხელოვნურად გამწვავებას კატეგორიულად გამოვრიცხავ. კარგად არის შესასწავლი სტატისტიკა. სტატისტიკა გამოქვეყნდა და კრიმინალი თითქოს გაზრდილი არ არის.

***– მე უფრო გახმაურებულ კრიმინალურ საქმეებზე ვსაუბრობ.***

– გახმაურებული საქმეები, კი ბატონო, მაგრამ არის ძალიან რთული სოციალური ფონი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცუდ დღეშია, აღებული ვალების გასტუმრება დღის წესრიგში ძალიან მწვავედ დგება. ნაწილი ვალებისა ბანკებიდანაა აღებული, ნაწილი ადამიანებს ერთმანეთიდან აქვთ აღებული. სოციოლოგიური გამოკვლევებით, თამაშის პირობებში, რომელიც ნარკომანიაზე ნაკლები სენი არ არის, სისხლიანი გარჩევები ხდება. როდესაც ოჯახებში ძალიან დაძაბული ვითარებაა, ეს ბავშვებზე მძიმედ აისახება.

***– შავი სამყაროს ხელოვნური გააქტიურება არ შეიძლება ხდებოდეს?***

– არა, ქურდული სამყარო ისეთი რამ არის, რომ თუ არ არის მათი პირადი მოგება, ხელოვნურად გამწვავებაზე არ წავა. არა მგონია, ვიღაც უკვეთავდეს და ფულს უხდიდეს.

***– გახარიამ გარკვეული გეგმები წარმოადგინა, იგივე ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის თვალსაზრისით. როდესაც სკოლის მოსწავლეებს შორის საქმის გარჩევებს მკვლელობები მოჰყვა, გამოძიების პერიოდში გახარიამ განაცხადა, რომ ძალიან ცოტამ ითანამშრომლა გამოძიებასთან, ე.ი. ამ კუთხით ძალიან რთული ვითარებაა.***

– ძალიან. ეს არის ურთულესი საკითხი. ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც იტალიაა (განსაკუთრებით იტალიის სამხრეთ ნაწილი და სიცილია) და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (რომ აღარაფერი ვთქვათ ლათინურ ამერიკასა და სხვა ქვეყნებზე), არის საზოგადოებები, სადაც სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა დღემდე არაკაცურად ითვლება. ასეთი თანამშრომლობა დაბეზღებად განიხილება. ეს ქმნის ბევრ სირთულეს. დასავლეთში გამოძიებას, გარდა მოწმის ჩვენებისა, მრავალი სხვა საშუალება აქვს.

***– ქურდული მენტალიტეტი ვერ იქნა დაძლეული.***

– არა, ქურდული მენტალიტეტი ნამდვილად არ არის დაძლეული, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც პატარა ბავშვები ერთ კლასში არიან, ვიღაცა ფანჯარას ჩაამტვრევს. თუ ამ დროს არც ერთი ბავშვი არ იტყვის, ვინ ჩაამტვრია, ეს კარგია, რადგან მაბეზღარა ბავშვი, მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს. თუმცა, სულ სხვაა, როცა ლაპარაკია სისხლის სამართლის საქმეზე. ამ დროს ბავშვობიდან იგივე ფსიქოლოგია გადადის, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობა არ შეიძლება. ეს საქართველოში ყველა ასაკის ადამიანს ეხება.

***– სკოლის მოსწავლეებს შორის ასეთი სიძულვილი რატომ არის, რომ გუნდ-გუნდად გამოდიან და ერთმანეთს ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღით ზიანს აყენებენ, კლავენ? ბოლო დროს ასეთმა შეჯახებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ეს ოჯახის ბრალია, სკოლის თუ ზოგადად საზოგადოების?***

– მე უცხოურ მასალებსაც ბევრს ვკითხულობ და ეს საკმაოდ რთული საკითხია, ვინაიდან ყველაზე განვითარებულ და მატერიალურად კეთილმოწყობილ საზოგადოებებშიც იფეთქებს ხოლმე ბავშვური სისასტიკე. აქ შეიძლება დავასახელოთ ის, რაც ხდებოდა გერმანიაში და რამდენიმე წლის წინ ძალიან მშვიდ კანადაშიც კი.

საქმე მიდის მასობრივ მკვლელობებამდე. ღმერთმა დაგვიფაროს, შოულობენ ავტომატურ იარაღს და შეუძლიათ დახოცონ როგორც თავისი სკოლელები, ასევე მასწავლებლები. ბოლოს, როგორც წესი, თავს იკლავენ. სოციოფსიქოლოგების აზრით, ამაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს – თანამედროვე მსოფლიოს ზოგადი ცხოვრების წესი, ე.წ. ავტორიზაცია.

***– ისე, ხშირად ამერიკაში ხდებოდა და ხდება სკოლაში შევარდნები და მოსწავლეებისა და მასწავლებლების დახოცვა.***

– ამერიკა დღესაც ლიდერობს კოლოსალური ციფრებით. ამერიკაში 40 ათასამდე ადამიანი ყოველწლიურად იღუპება ურთიერთსროლაში. სისასტიკის შემთხვევები ყველაზე განვითარებულ, მატერიალურად კეთილმოწყობილ ქვეყნებშიც ხშირია. ამიტომ არა მხოლოდ მძიმე სოციალური მდგომარეობა მოქმედებს, არამედ ცხოვრების წესი, ოჯახური ურთიერთობების დაქვეითება, ოჯახის ინსტიტუტის მოშლა.

***– ჩვენთვის გამოსავალი, ალბათ, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევაშია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შეძლებს ჩვენი საზოგადოება ამ პრობლემის გამკლავებას.***

– მდგომარეობა მართლაც ძალიან მძიმეა. გაეროს ავტორიტეტული ინსტიტუტების მიერ ჩვენ შეყვანილი ვართ იმ 5 ერის სიაში, რომელსაც, საერთოდ, გადაშენება ელის დაახლოებით 40 წელიწადში. ეს მეტად ართულებს სიტუაციას, მაგრამ არაერთ უცხოელს უთქვამს, ყველაფერი გააკეთეთ, რომ თქვენი ოჯახის ინსტიტუტი არ მოიშალოს, არ გაქრეს.

# აფგან მუხთარლი: „ჩემ გატაცებაში კვირიკაშვილი თუ არა, ივანიშვილი მაინც იქნებოდა ჩართული“

აზერბაიჯანის ციხიდან 2 დღით გათავისუფლებული ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, რომელიც 2017 წლის მაისში თბილისიდან ბაქოში გაურკვეველ ვითარებაში გაიტაცეს, ნეტგაზეთთან საუბარში მისი გატაცების დეტალებს იხსენებს:



– ჩემი გამტაცებლები სამოქალაქო ჩაცმულობაში იყვნენ. ეს ჩაცმულობა განსხვავებულია. ოთხივეს ერთნაირად ეცვა და ვინც ერკვევა, მიხვდებოდა, რომ ეს კრიმინალური პოლიცია იყო. ისინი ერთმანეთში ქართულად საუბრობდნენ, თუმცა, ძალიან ცოტას. მე რუსულად მელაპარაკებოდნენ, ქართული აქცენტით. ერთ მომენტში ჩვენი მანქანა გზიდან გადავიდა და ერთ ადგილას გაჩერდა, ტომარა ჩამომხსნეს თავიდან. მაშინ ვიფიქრე, რომ ჩემი მოკვლა ჰქონდათ განზრახული, რადგან დანა ეკავათ ხელში.

ვუთხარი, დანით არ მომკლათ-მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, რომ ჩემს მოკვლას არ აპირებდნენ და არც რამეს დამიშავებდნენ. მერე ისევ თვალახვეული მივყავდი, თუმცა, ვხვდებოდი, რომ ისინი გამუდმებით არღვევდნენ საგზაო წესებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მანქანა პოლიციას კანონდარღვევებისთვის არ გაუჩერებია.

მუხთარლი დარწმუნებულია, რომ მის გატაცებაში საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უშუალოდ იყო ჩართული, თუმცა, კითხვაზე, რა არგუმენტები აქვს და რატომ არის ამაში ასე მყარად დარწმუნებული, ამბობს:

– ყველაფერი წინასწარ და კარგად იყო გათვლილი, ხელი არავის შეუშლია მათთვის ჩემს გადაყვანაში. დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილია გარეული, სხვა შემთხვევაში, ასეთი მაღალ დონეზე დაგეგმილი გატაცების ორგანიზება ვერ მოხდებოდა. იმ დღეს თურმე არც ერთი ვიდეოკამერა არ მუშაობდა, როგორ მოხდა ასე? ასეთი რამე წარმოუდგენელია. ასეთი მასშტაბის დანაშაულს სხვა ვერ ჩაიდენდა. თუ გიორგი კვირიკაშვილი არა, მაშინ ივანიშვილია ამაში გარეული. გარდა ამისა, მთელ ამ პროცესში ჩართული იყვნენ შსს, ლაგოდეხის საბაჟო პუნქტის უფროსი.

კიდევ ერთი არგუმენტი, თუ რატომ ფიქრობს მუხთარლი, რომ საქართველოს ხელისუფლების დახმარებით გაიტაცეს აზერბაიჯანში, არის ის, რომ მის მიმართ თბილისში თვალთვალზე საჩივრები გამოუძიებელი დარჩა.

– ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ გვითვალთვალებდნენ თბილისში, მეც, ჩემი ოჯახის წევრებსაც, დაშგინ აღალარლის, სხვა აქტივისტებს. პოლიციასაც მივმართეთ ამ საკითხზე, თუმცა არ გამოუძიებია ეს საკითხი. ჩემ გატაცებამდე რამდენიმე დღით ადრე, სწორედ ამ საკითხზე საერთაშორისო მედიასაც ველაპარაკეთ.

რაც შეეხება აზერბაიჯანში მის დაკითხვებსა და კომუნიკაციას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ამბობს, რომ ხელისუფლებიდან მას არავინ შეხვედრია, – „მხოლოდ გამომძიებელი მელაპარაკებოდა“.

აფგან მუხთარლი ნეტგაზეთთან საუბარში ქართველ ხალხს მადლობასაც უხდის.

– მინდა ქართველ ხალხს და კოლეგებს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის, 2 წელი ვიცხოვრე თბილისში და ბევრი მეგობარი შევიძინე ამ დროის განმავლობაში.

აფგან მუხთარლი აზერბაიჯანის ციხეში, სადაც მას 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ხვალ, 10 თებერვალს, დილით დაბრუნდება. ამბობს, რომ პროგნოზებზე საუბარი უჭირს. მუხთარლი პატიმრობიდან 2 დღით გაათავისუფლეს და დაღუპული ნათესავების 40-ზე დასწრების ნება მისცეს.

აზერბაიჯანელი გამომძიებელი ჟურნალისტი, რომელიც პრეზიდენტ ილჰამ ალიევის რეჟიმის დევნილია, 2017 წლის მაისამდე ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, თუმცა, აფგან მუხთარლი 2017 წლის 29 მაისის საღამოს თბილისის ცენტრიდან გაუჩინარდა და ბაქოს ციხეში აღმოჩნდა.

მას რამდენიმე მუხლით წარუდგინეს ბრალი. მუხთარლის დაკავებას მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა თბილისში. 19 ივლისს მუხთარლის ადვოკატებმა სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართეს საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ. აფგან მუხთარლის ცოლი, ასევე გამომძიებელი ჟურნალისტი ლეილა მუსტაფაევა, რომელიც ბოლო წლებში თბილისში ცხოვრობდა, ქმრის გატაცების შემდეგ არსებული რისკების გამო მცირეწლოვან შვილთან ერთად საცხოვრებლად ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გაემგზავრა.

# რა უნდა გავაკეთოთ ბაზრის ვარდნის დროს

ამერიკულ საფონდო ბირჟაზე ქაოსი კვლავ გრძელდება. დოუ ჯონსის სამრეწველო ინდექსი მიმდინარე კვირაში 1.000-ზე მეტი პუნქტით უკვე მეორედ გაუფასურდა.



უორენ ბაფეტის განცხადებით, საუკეთესო სტრატეგიას აქციების შეძენა-შენახვის სტრატეგია წარმოადგენს – ეს არის საინვესტიციო სტრატეგია, რომლის დროსაც ინვესტორი აქციებს გრძელვადიანი პერსპექტივით ყიდულობს და ბაზრის ფლუქტუაციას ყურადღებას არ აქცევს.

– როდესაც ინვესტორები აქციებს სამომავლო პერსპექტივით ყიდულობენ და ნებისმიერი ვარდნისას ნერვიულობენ, ისინი კარგ შედეგამდე ვერ მივლენ, – განაცხადა ცნობილმა ინვესტორმა.

კომპანია Berkshire Hathaway-ის ხელმძღვანელი ინვესტირების კლასიკური მოდელის მიმდევარია. იგი ინტერესდება იმ კომპანიებით, რომლებსაც გრძელვადიანი ზრდის პერსპექტივა აქვთ. თავის ერთ-ერთ დიდ შეცდომად კი ბაფეტი Amazon-ში ინვესტირებაზე უარის თქმას ასახელებს.

# ყველაზე მეტი დაქირავებული თბილისშია

დაქირავებით მომუშავეთა წილი დასაქმებულ მოსახლეობას შორის ყველა მაღალი დედაქალაქში ფიქსირდება და დაახლოებით 85,5%-ს შეადგენს. აღნიშნულ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.



მათი მონაცემების მიხედვით, დანარჩენ რეგიონებში დაქირავებით დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის 50%-ზე ნაკლებია. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რეგიონში ეს რიცხვი 48,8%-ს შეადგენს, მცხეთა-მთიანეთში – 39,1%-ს. რეგიონები, სადაც დაქირავებით მომუშავეთა რიცხვი საკმაოდ დაბალია, ესენია: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 27,4% და გურია – 25,0%.

რაც შეეხება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობას, საქსტატის მონაცემებით, თბილისში ყველაზე დაბალია და 56,5%-ს შეადგენს. ქვემო ქართლის მოსახლეობის მხოლოდ 63,1%-ია ეკონომიკურად აქტიური.

აჭარის რეგიონის მხოლოდ 63,4% და სამეგრელოს-ზემო სვანეთის მოსახლეობის 65,7%. ყველაზე მეტად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია – 80,2% და გურიაში – 72,9%.

ამასთან, თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობას შორის თბილისში 14, 5%-ია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, 50%-ზე მეტი ფიქსირდება დანარჩენ რეგიონებში. მათ შორის ყველაზე მაღალია გურიაში, სადაც თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობას შორის 74,9%-ს შეადგენს. ასევე, მაღალია მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 72,5%, სამცხე-ჯავახეთში კი 69,8%. რაც შეეხება რეგიონებს, სადაც შედარებით დაბალია დასაქმებულთა წილი, ესენია მცხეთა-მთიანეთი – 60,8% და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 51,2%.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ინტერაქტიულ რუკაზე. ინტერაქტიული რუკები დამუშავდა ევროსტატის რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობის გავრცელებისათვის გამოყენებულ იქნა 1 კვ.კმ-ის ფართობის გეოგრაფიული ბადე (გრიდ). აღნიშნული მიდგომა გამოიყენება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ და იძლევა აღწერის შედეგების სრულყოფილი ვიზუალიზაციის საშუალებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სივრცითი ანალიზის თვალსაზრისით.

ბან

# „პლეხანოვზე თურქული რესტორანი თუ არ მოგწონს, შენ გააკეთე უკეთესი, დაგიშალა ვინმემ?!“

## თორნიკე შარაშენიძე: „ვიზალიბერალიზაციის დაკარგვა ჯერ არ გვემუქრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***— ბატონო თორნიკე, შესაძლოა, ვიზალიბერალიზაციას საფრთხე დაემუქროს და ეს ფორმატი გაგვიუქმონ. დიდი ნაკადი გადის საქართველოდან და უკან მცირე ბრუნდება, რას იტყვით თქვენ?***

— ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გამოძახილია. ამას სჭირდება ეკონომიკის გაჯანსაღება, სოციალური პრობლემების მოგვარება და ეს ძალიან რთული ამოცანაა. ამას საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაუმკლავდა და ვერც ეს ხელისუფლება უმკლავდება. ამ ხელისუფლების პირობებში გვაქვს ძალიან მცირე ეკონომიკური ზრდა. ამ ეკონომიკური ზრდით კიდევ 20 წელი ვერ დავეწევით ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყანას. შესაბამისად, ვინც ქვეყნიდან გავა, იქიდან ბევრი შეეცდება, დარჩეს. ეს მოსალოდნელი იყო. ამასთან ბრძოლის ერთადერთი ვარიანტი არსებობს.

***— რომელი?***

— ვინც იქ რჩება, ვიპოვოთ, დავეხმაროთ იმ ქვეყნის სამართალდამცავებს და სასწრაფოდ დავაბრუნოთ საქართველოში. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ეს უფრო იოლია, ვიდრე ეკონომიკის გაჯანსაღება და სოციალური პრობლემების მოგვარება.

***— ამ სიტუაციაში რამდენად მოსალოდნელია, რომ დადგეს ვიზალიბერალიზაცია საფრთხის ქვეშ?***

— ასე მალე ალბათ არ დადგება. ამას კიდევ მსჯელობა უნდა. ევროკავშირი უნდა შეიკრიბოს, იმსჯელოს, ჯერ გაგვაფრთხილებს და შეიძლება მერე გააუქმოს. ასე მალე არ იქნება.

***— თუმცა სურათი სახიფათოა?***

— საგანგაშო ჯერ არ არის. ვინც წასასვლელი იყო, ის უკვე გაიქცა და დარჩა კიდეც.

***— ასე მარტივია მათი მოძებნა და უკან დაბრუნება?***

— შეუძლებელიც არაფერია ამაში. მე ეს უფრო მარტივად მეჩვენება, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ამ ქვეყანაში. როგორ წარმოგიდგენიათ, ეკონომიკას რა უნდა უყოს ამ მთავრობამ?!



***— სულ მიდის შედარებები წინა ხელისუფლების პერიოდთან. ბევრი საუბრობს, რომ იმ პერიოდში გაცილებით უკეთესი იყო ეკონომიკური ფონი. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

— მაშინ იყო თავიდან მკვეთრი ზრდა, თუმცა ბოლო პერიოდში იმათმაც შეანელეს. მეექვსე წელია, „ოცნება“ ხელისუფლებაშია და ეს მაჩვენებელი ძალიან მცირეა. სიტუაცია გაცილებით მძიმეა, ვიდრე იყო წინა ხელისუფლების დროს, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. რაც უნდა იძახონ, რომ წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა უმძიმესი მემკვიდრეობა, ეს ჩვეულებრივი ზღაპარია, რომლისაც ალბათ ძალიან სჯერა ამ ხელისუფლების ფანატიკოსებს.

***— ისმის წუხილი იმაზეც, რომ საქართველოდან გარბიან ქართველები და სახლდებიან უცხოელები. ეს სურათი რამდენად საგანგაშოა?***

— შენ თუ ვერ მიხედავ შენს ქვეყანას, მოვა და სხვა მიხედავს. ეს არის ჩვეულებრივი კანონი. შენ თუ არ გაქვს იმის თავი, რომ, მაგალითად, დაიჭირო თევზი შავ ზღვაში, მოვა და დაიჭერს სხვა. ჩემთვის დღემდე გაუგებარია და ვერ ამიხსნია, ბათუმში თითზე ჩამოსათვლელია რესტორნები, სადაც გაჭმევენ შავ ზღვაში დაჭერილ თევზს. ეს ხომ აბსურდული ანეგდოტია?! შავი ზღვის ერთ-ერთი გამორჩეული პორტი, ერთ-ერთი გამორჩეული კურორტი და იქ თევზს ვერ იჭერენ ადგილობრივი მცხოვრებლები. შენ თუ ვერ დაიჭერ, მოვა და სხვა დაიჭერს. შენ თუ არ გაქვს თავი მოუარო, მოვა და სხვა მოუვლის. ეს ჩვეულებრივი კანონია.

***— ეს რით აიხსნება, ჩვენი ერის სიზარმაცით? ყველაფერი გამზადებული უნდათ?***

— რაც გინდათ, ის დაარქვით და ფაქტი სახეზეა. ვიღაცებს არ მოსწონთ პლეხანოვზე თურქული რესტორანი. მაშინ შენ გააკეთე უკეთესი, დაგიშალა ვინმემ?! თურქული რესტორანი იმიტომ მუშაობს, რომ იქ ყველაფერი არის იაფი და ხარისხიც ნორმალურია. აი, ამით გამოირჩევა თურქული რესტორანი, დაბალი ფასებით და სტაბილური ხარისხით. რა, თურქებს კარგი პირობები აქვთ საგადასახადო, უფრო მეტი შეღავათები აქვთ, ვიდრე ქართველებს?!

***— ხშირად მოისმენთ უკმაყოფილებას ხელისუფლების მისამართით, რომ ის უცხოელებს მეტ შეღავათებს აძლევს.***

— ეს ჩვეულებრივი სისულელეა. ყველა ცდილობს, თავისი უნიათობა სხვაზე გადაბრალებით გაამართლოს. რამდენი ხანი უნდა ვისმინოთ ერთი და იგივე სისულელე? ხალხი ხელისუფლებას აბრალებს თავის უნიათობას, ხელისუფლება კი წინა ხელისუფლებას და ვართ ასე. სხვაზე გადაბრალება ეს არის ზარმაცების და უნიათოების თვისება. ეს კი საქმეს არ შველის.

# საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმს არღვევენ, სანქციები დაეკისრებათ



— ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცევიან შენგენის სივრცეში, დავაკისროთ გარკვეული ტიპის სანქციები იმისთვის, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს ჰქონდეს გადამარწმუნებელი ეფექტი და შევინარჩუნოთ ის დიდი წარმატება, რომელსაც ქვეყანამ დიდი ძალისხმევის შედეგად მიაღწია.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან საგანგებო თათბირის შემდეგ განაცხადა.

— განვიხილეთ ის გამოწვევები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა აწყდება სხვადასხვა დასავლეთევროპულ ქვეყანაში იმის გამო, რომ ჩვენი ზოგიერთი მოქალაქე, რომელიც შენგენის სივრცეში მიემგზავრება და მოძრაობს, არღვევს უვიზო რეჟიმის წესებს, რჩება იქ უფრო დიდი ხნით, ვიდრე ეს არის ნებადართული ან ეწევა უკანონო საქმიანობას. ჩვენი ვალია, რომ ის ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად მიღწეული წარმატება, რასაც ჰქვია უვიზო რეჟიმი შენგენის სივრცესთან, დავიცვათ, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების გზით, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ვიცეპრემიერები, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური.

„პირველი არხი“

# ივანიშვილის ფულის მითვისების გამო Credit Suisse-ს ექს-ბანკირს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს



ბიძინა ივანიშვილმა Credit Suisse-ს ექსბანკირს სასამართლო დავა მოუგო.

გადაწყვეტილება ჟენევის სასამართლომ პარასკევს მიიღო და შვეიცარიული ბანკის ყოფილ ბანკირს 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

მას ბრალად კლიენტების ნდობის ბოროტად გამოყენება და თაღლითური სქემის შემუშავება ედება, რამაც მას ათობით მილიონი ფრანკის სარგებელი მოუტანა.

მოსამართლე ალექსანდრა ბანას განცხადებით, ყოფილმა ბანკირმა ზარალი მიაყენა რამდენიმე კლიენტს, მათ შორის არის საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომლის ზარალი 143 მლნ შვეიცარიული ფრანკია (152 მილიონი დოლარი). ბრალდებულმა კი 30 მილიონი ფრანკის მოგება მიიღო.

მოსამართლის განცხადებითვე, ბანკირმა მოატყუა როგორც ყოფილი კლიენტები, ასევე თავად ბანკი, გააყალბა ხელმოწერები იმისათვის, რომ გადარიცხვები განეხორციელებინა.

ივანიშვილის ადვოკატების განცხადებით, თაღლითობის შედეგად საქართველოს ყოფილმა პრემიერმა მილიონობით დოლარი იზარალა.

# რუსული АФК „Система“ ბიზნესმენ რომან ფიფიასგან 93,6 მლნ დოლარს ითხოვს

რუსულ გამოცემა „კომერსანტის“ ინფორმაციით, ლუქსემბურგის სასამართლომ განიხილა „Система“-ს და ფიფიას სარჩელები. მათი ინფორმაციით, სასამართლოს საფუძველზე „Система“-ში შემავალი East West United Bank-ი ითხოვს რომან ფიფიას კუთვნილი Loyal Capital-ისგან 93, 6 მლნ. დოლარის ოდენობის ვალის დაბრუნებას.

თავის მხრივ, რომან ფიფიას კომპანია, რომლის ერთ-ერთი აქტივი რუსთავის „აზოტის“ 10%-ია, East West United Bank-ისგან 388 მლნ. დოლარის ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

East West United Bank-ის პრეტენზიები დაკავშირებულია კრედიტთან, რომელიც ბანკმა Loyal Capital-ს Agrochim SA-ს აქციების 45%-იანი პაკეტის შესაძენად მისცა. გირაოდ Agrochim-ის აქციების 90% იყო ჩადებული.

რომან ფიფიას სტრუქტურებმა ვერ დააბრუნეს ვალი სასუქზე მსოფლიო ფასების ვარდნის გამო. შედეგად, ბიზნესმენმა ბანკისგან ვალის რესტრუქტურიზაცია მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ Loyal Capital-ს ასევე აქვს „საქართველოს ბანკის“ ვალი – 100 მლნ. ევროს ოდენობით. შესაბამისად, „Система“-ში შემავალი ბანკი ითხოვს ვალის გასტუმრებას, Loyal Capital-ი კი პირიქით, ედავება მას იმის გამო, რომ თითქოს რუსულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა ჩაშალა რომან ფიფიას მოლაპარაკება ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკთან.

გარდა ამისა, Loyal Capital-ი ადანაშაულებს East West United Bank-ს საბანკო ინფორმაციის საიდუმლოების პრინციპის დარღვევაში. ფიფიას თქმით, ფინანსური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გაუზიარა „საქართველოს ბანკს“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სასამართლოში რუსთავის „აზოტის“ მფლობელის წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. შედეგად, საქართველოში ქარხნის გაყიდვის პროცესი ამან დააჩქარა.



ლუქსემბურგის სასამართლოს აზრით, ინფორმაცია Loyal Capital-ის დავალიანების შესახებ არ იყო საიდუმლო და ის „საქართველოს ბანკს“ თავად კომპანიის მენეჯმენტმა გაუმხილა, ხოლო ქარხნის შემოსავლების შემცირება გამოიწვია არა АФК-ს ქმედებებმა, არამედ საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნამ.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ დაუჭირა მხარი East West United Bank-ის მოთხოვნას და არ დააკმაყოფილა Loyal Capital-ის სარჩელი. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

АФК „Система“-ს პარტნიორი ალექსანდრ ბოლომატოვი ფიქრობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტებს არა აქვთ აპელაციაში წარმატების დიდი შანსები. „გაუგებარია, როგორ შეეძლო ჩვენს ბანკს გადაკრედიტებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩაშლა, ან რისთვის უნდა გაეკეთებინა ეს?“ – ამბობს ბოლომატოვი.

თუმცა, საბოლოო გამარჯვების შემთხვევაშიც კი ფულის დაბრუნების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია – ჯერ კიდევ 2016 წლის 1 სექტემბერს „აზოტის“ აქტივები იყიდა ქართულმა კომპანიამ EU Investments, რომლის მფლობელი არის ცნობილი ქართველი ფინანსისტი ეფრემ ურუმაშვილი, ანუ აქციები, რომლებიც დაგირავებული აქვს East West United Bank-ს, არაფრით არ არის უზრუნველყოფილი.

თუმცა, АФК არ გამორიცხავს, რომ გაასაჩივრებს ქარხნის აქტივების გასხვისებასაც და თვლის, რომ ფიფიას გააჩნია რესურსები ვალის დაბრუნებისთვის. რომან ფიფია, „საქართველოს ბანკი და EU Investments-ი ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

# ილია ელოშვილი: „თუ თბილისის გენერალური გეგმა არ იქნება სრულყოფილი, მას არ მივიღებთ“

— თუ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არ იქნება სრულყოფილი, მას არ მივიღებთ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილმა განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რას გააკეთებს მერია იმ შემთხვევაში, თუ გენერალური გეგმა სრულყოფილი არ იქნება.

— დაველოდოთ, სამუშაო პროცესი მიმდინარეობს. ნაადრევია ამაზე საუბარი. 24 დღე დარჩათ ზუსტად. თუ გენგეგმა არ იქნება სრულყოფილი, არ მივიღებთ, — განაცხადა ელოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფს შენიშვნების გამოსასწორებლად 45 დღე აქვს მიცემული. „სითი ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორის განცხადებით კი გენგეგმაში რადიკალური ცვლილებები არ იქნება.

# სეს-მა დიდი რაოდენობით საეჭვო წარმომავლობის ხორცი გამოავლინა

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ხორცის საბითუმო-სარეალიზაციო ობიექტები შეამოწმეს. როგორც „კომერსანტს“ ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, დოკუმენტური შემოწმებისას შპს „ახალ ხორცში“ გამოვლინდა ვადაგასული, საეჭვო წარმომავლობის ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე.

სააგენტოს ინსპექტორებმა 400 კგ ხორცი დალუქეს და ბიზნესოპერატორი 1.000 ლარით დააჯარიმეს. კანონმდებლობის შესაბამისად, მეწარმეს დაევალა ხორცის განადგურება, რაზეც ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები განახორციელებენ.

საეჭვო წარმომავლობისაა ხორცი, რომელსაც არ აქვს ჯანმრთელობის ნიშანდება – აღნიშვნა, რომელიც დასმულია ცხოველის ტანხორცზე და მიუთითებს, რომ ცხოველმა გაიარა დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება და დაიკლა ვეტერინარის ზედამხედველობით.

# თეიმურაზ უბილავა: „გოგი, არ გაბედო ბადაგონის ქარხნის გაჩერება!“

9 თებერვალს სასტუმრო „რუმსში“ „გრაკორო ტრეიდინგ ლიმიტედისა“ და ვლადიმერ ჯანჯღავას ადვოკატებმა პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდა თეიმურაზ უბილავა, რომელიც კომპანია „ბადაგონის“ პრეზიდენტია 2003 წლიდან. ასევე პრესკონფერენციაზე სკაიპით ჩაერთო ვლადიმერ ჯანჯღავა, რომელიც კომპანია „ბადაგონის“ ერთადერთი ინვესტორია.



თეიმურაზ უბილავამ დეტალურად გაიხსენა „ბადაგონის“ ქარხნის მშენებლობისა და განვითარების პროცესი.

უბილავამ გამოსვლის დასასრულს მიმართა კომპანია „ბადაგონის“ ახლანდელ დირექტორ გიორგი სალაყაიას, რომელსაც აბრალებენ, რომ მან მიითვისა კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციები და წილები:

– გოგი, არ გაბედო ქარხნის გაჩერება.

ვლადიმერ ჯანჯღავას ადვოკატმა იმედა დვალიძემ ჟურნალისტების მეშვეობით გიორგი სალაყაიას სამი კითხვა გაუგზავნა:

1. ვინ ახორციელებდა ინვესტიციებს კომპანია „ბადაგონში“?
2. ვისგან და რა პირობით შეიძინა კომპანია „ბადაგონის“ წილი?
3. რა ოდენობის ინვესტიციები განახორციელა მან თავად?

„ბრაკორო ტრეიდინგ ლიმიტედის“ ადვოკატმა დიმიტრი ხაჩიძემ ჟურნალისტებს გააცნო გამოძიებასთან დაკავშირებული დეტალები, თუ რატომ და როდის მიმართა ფინანსურ პოლიციას.

იგი აცხადებს, რომ გამოძიებისთვის წარმოდგენილია ის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კომპანია „ბადაგონში“ განხორციელებულ ინვესტიციებს, დაკითხულები არიან ჯანჯღავაც და უბილავაც როგორც გამოძიების დაწყებამდე, ასევე მიმდინარეობის პროცესშიც.

პრესკონფერენციას სკაიპით ჩაერთო ვლადიმერ ჯანჯღავა.

– ის, რაც დღეს ხდება, ჩემთვის გაუგებარია, ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომ შევახსენო ბ-ნ სალაყაიას, რომ ყველა ფულად სახსრებს იღებდა ჩემგან, ჩვენ ვმეგობრობდით და, სამწუხაროდ, მან ეს ყველაფერი დაივიწყა, სამწუხაროდ, ის იგნორირებას უკეთებს ჩვენს სამართლებრივ მოთხოვნებს, იძულებული ვართ, თავად ვიპოვოთ გზები და მას ანგარიში გავუსწოროთ, მან ჩემი ნდობა გამოიყენა და ჩემი საკუთრება მიითვისა, – განაცხადა ბ-მა ჯანჯღავამ.

რაც შეეხება კომპანია „ბადაგონის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების პოლიტიკურ ნაწილს, როგორც ჯანჯღავამ, ასევე უბილავამ განაცხადეს, რომ არც ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთან და არც რომელიმე ცნობილ ბიზნესმენთან ამ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

ვლადიმერ ჯანჯღავას ადვოკატი იმედა დვალიძე განმარტავს, რატომ გადაუფორმა „ბადაგონის“ 50-პროცენტიანი წილი ვლადიმერ ჯანჯღავამ გიორგი სალაყაიას.

ადვოკატის განმარტებით, წილების გადაფორმების მიზეზი კომპანიაში არსებული პრობლემები გახდა, რის გამოც აუცილებელი იყო თანხების მოზიდვა, რაც რუსეთის მოქალაქე ვლადიმერ ჯანჯღავასთვის პრობლემას წარმოადგენდა.

– „გრაკორო“ იყო მთავარი ინვესტორი კომპანია, რომელმაც „ბადაგონში“ 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კითხვა, რომელსაც ვსვამთ, არის ასეთი – რა ინვესტიცია განახორციელა გიორგი სალაყაიამ და როგორ მოხდა, რომ „ბადაგონის“ აქციების 100 პროცენტს ფლობს? რაც შეეხება წილების გადაფორმებას, ეს იყო 2015 წელს ფინანსების მოზიდვის გამო სტრატეგიული გადაწყვეტილება, საჭირო იყო ქართული საბანკო სერვისებისთვის მიმართვა.

ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა, თუ კომპანიას ეყოლებოდა ერთი პარტნიორი და ის იქნებოდა საქართველოს რეზიდენტი. ამიტომ წილი ფორმალურად გადაუფორმეს სალაყაიას. 2017 წლამდე პრობლემა არ იყო. როგორც კი პრობლემა გაჩნდა, მივმართეთ საგამოძიებო ორგანოებს, – განაცხადა იმედა დვალიძემ.

# „მერიისა და გამგეობების მიერ დეკემბრიდან ყველა ტენდერი აუქციონის გარეშე ჩატარდა, რითაც სახელმწიფომ 20 მლნ ლარი დაკარგა“

– თბილისის მერიისა და გამგეობების მიერ 2017 წლის 1-ლი დეკემბრიდან გამოცხადებული ყველა ტენდერი აუქციონის გარეშე ჩატარდა, რის შედეგადაც სახელმწიფომ 20 მლნ ლარი დაკარგა.

ინფორმაციას თბილისის საკრებულოს ფრაქცია ევროპული საქართველო ავრცელებს.

ის სახელმწიფო შესყიდვებში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე საუბრობს. მათი ცნობით, თბილისის მერია ტენდერების არასწორი გზით ჩატარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონებს ფლანგავს.

როგორც ფრაქციაში აცხადებენ, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად წლების განმავლობაში ელექტრონული შესყიდვები ითვლებოდა, რომლებიც უზრუნველყოფდა სისტემის გამჭვირვალობას, წარმოქმნიდა ჯანსაღ კონკურენციას და იძლეოდა საშუალებას, რომ სახელმწიფოს ყოველ შესყიდვაზე 5-15% (ანუ საშუალოდ 10%) ეკონომია გაეკეთებინა.

პარტიის წევრ გოკა გაბაშვილის შეფასებით, ზარალის ოდენობა პირობითია და სახელმწიფო კონკურსის ჩატარების შემთხვევაში დაახლოებით 20 მლნ-ს დაზოგავდა.

ტენდერები აუქციონის გარეშე ტარდება. ქ.თბილისის მერიისა და გამგეობების მიერ 2017 წლის 1-ლი დეკემბრიდან გამოცხადებული ყველა ტენდერი ჩატარდა აუქციონის გარეშე (ანუ დაუბრუნდა 90-იანი წლების მავნე პრაქტიკას, როდესაც შემოდიოდა დალუქული კონვერტები, რაც იძლეოდა მანიპულაციის საშუალებას, აუქციონი ტარდებოდა დახურულად).

ორი თვის განმავლობაში, საერთო ჯამში, თბილისის მერიის სტრუქტურების მიერ გამოცხადდა 380-ზე მეტი უაუქციონო ტენდერი, დაახლოებით 200 მილიონი ლარის ოდენობით. აქედან სახელმწიფომ იზარალა თითქმის 20 მლნ ლარი, – ნათქვამია ევროპული საქართველოს ინფორმაციაში.

რაც შეეხება ცალკეულ უბნებს, ჩატარებული ტენდერების მიხედვით, მონაცემები ასე გამოიყურება:

მთაწმინდა – ტენდერების რაოდენობა 19; საწყისი ღირებულება – 2.872.836 ლარი.

კრწანისი – ტენდერების რაოდენობა – 24; საწყისი ღირებულება – 2.818.366 ლარი.

ისანი – ტენდერების რაოდენობა – 30; საწყისი ღირებულება – 5.741.146 ლარი.

სამგორი – ტენდერების რაოდენობა – 32; საწყისი ღირებულება – 9.099.615 ლარი.

დიდუბე – ტენდერების რაოდენობა – 25; საწყისი ღირებულება 5.638.573 ლარი.

ჩუღურეთი – ტენდერების რაოდენობა – 21; საწყისი ღირებულება 4.020.352 ლარი.




ვაკე – ტენდერების რაოდენობა – 17; საწყისი ღირებულება – 5.040.656 ლარი.

საბურთალო – ტენდერების რაოდენობა – 21; საწყისი ღირებულება – 9.000.548 ლარი.

ნაძალადევი – ტენდერების რაოდენობა – 24; საწყისი ღირებულება – 4.493.892 ლარი.

გლდანი – ტენდერების რაოდენობა – 19; საწყისი ღირებულება 6.427.828 ლარი.

თბილსერვის ჯგუფი – ტენდერების რაოდენობა – 35; საწყისი ღირებულება 3.683.845 ლარი.

რაც შეეხება პირდაპირ შესყიდვებს, 2014 წლიდან მერიას ერთ პირთან მოლაპარაკებით გაფორმებული აქვს 1.042 ხელშეკრულება, თანხა კი შეადგენს 196.461.823 ლარს.

– ეს ნიშნავს, რომ მერიამ მისთვის სასურველ კომპანიას გაუფორმა ხელშეკრულება ყოველგვარი კონკურსის, ტენდერისა თუ აუქციონის გარეშე, – აღნიშნავენ პარტიაში.

2014 წლის შემდეგ მერიამ ჩაატარა 430 ტენდერი, რომლის თანხამ 79.042.001 ლარი შეადგინა, სადაც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კომპანია, რაც იძლევა გარიგების საფუძვლიან ეჭვს.

– ტენდერები გამოცხადებულია მოკლე პერიოდში, ტენდერის ტექნიკური პირობა მორგებული იყო ერთ კომპანიაზე და სხვას არ ეძლეოდა მონაწილეობის საშუალება, – აცხადებენ პარტიაში.

გოკა გაბაშვილი აღნიშნულთან დაკავშირებით მერიისგან პასუხებს ითხოვს.

# გიორგი ჩოგოვაძე: „ქვეყანაში ტურიზმის მიმართულებით 200 ათას ადამიანამდეა დასაქმებული“



– ტურიზმი არ არის სფერო, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდება საქართველოში. ის ბევრ სხვა სფეროსთანაა გადაჯაჭვული, მათ შორის დასაქმებასთან.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა.

როგორც ჩოგოვაძე აცხადებს, 2017 წლის რეკორდულ წელთან შედარებით, 2018 წელს უცხოელი მოგზაურების ვიზიტი საქართველოში 15%-ით არის გაზრდილი.

– 2018 წლის იანვარში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უცხოელი მოგზაურის ვიზიტი ქვეყანაში დაახლოებით 15%-ითაა გაზრდილი, ხოლო იმ ტურისტების რიცხვი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე 24 საათი და მეტი ხანი გაჩერდნენ, 23%-ით გაიზარდა. ტურიზმი არის არის სფერო, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდება საქართველოში. ის ბევრ სხვა სფეროსთანაა გადაჯაჭვული, – განაცხადა ჩოგოვაძემ.

მან ხაზი იმ სტრატეგიებს გაუსვა, რომლებიც მომდევნო წლებში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

– ჩვენ რამდენიმე წლის წინ ტურიზმის სტრატეგიის ხედვა შევქმენით. ეს სტრატეგია 2015 წლიდან 2025 წლამდე პერიოდს მოიცავს. აღნიშნულ სტრატეგიაში კონკრეტული ინდიკატორებია გაწერილი, რომელსაც ჩვენ ყოველი წლის ჭრილში ვამოწმებთ, – აღნიშნა გიორგი ჩოგოვაძემ.

ეკონომიკური თვალსაზრისით ტურიზმი ექსპორტია, რადგან ის ადგილობრივი პროდუქციის უცხოურ ვალუტაში გაყიდვას გულისხმობს.

– 2017 წელი ჩვენ 7.55 ათასი ტურისტით დავხურეთ. ამ ციფრების უკან ბევრი ეკონომიკური ეფექტი დგას, მათ შორის ეკონომიკაში ქვეყნის შემოსავალი, რასაც საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტები ხარჯავენ. მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვის ადგილი საქართველოა, ტურისტი უცხოური ვალუტით შემოდის და ფულს საქართველოში ხარჯავს. ესეც ექსპორტის ერთ-ერთი პუნქტია. ამ ყველაფერს ძალიან დიდი მაკროეკონომიკური ეფექტი გააჩნია. ქვეყანაში ტურიზმის მიმართულებით დაახლოებით 200 ათას ადამიანამდეა დასაქმებული, – განაცხადა ჩოგოვაძემ.

„კომერსანტი“

# თბილისში ესტაკადის მშენებლობით თაღლითობაში ეჭვმიტანილი რუსული კომპანია დაინტერესდა



მარშალ გელოვანისა და სარაჯიშვილის კვეთაზე ესტაკადის მშენებლობით რუსული კომპანია „ნიკარემსტროი“ დაინტერესდა.

აღნიშნული კომპანია ერთადერთია, რომელმაც თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში საკუთარი წინადადება წარადგინა. კომპანია ესტაკადის მშენებლობას მერიას 4 მილიონ ლარად სთავაზობს, 300 ათასი ლარით ნაკლებად, ვიდრე მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ პირობებში იყო მითითებული.

„ნიკარემსტროის“ ფილიალი საქართველოში 2016 წელსაა რეგისტრირებული, სათავო ოფისი კი რუსეთში მდებარეობს. კომპანიას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მალხაზ ლომსაძე ხელმძღვანელობს.

შპს „ნიკარემსტროის“ საქართველოს ფილიალი და მისი დირექტორი გასული წლის ზაფხულში სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში ფიგურირებენ.

კერძოდ, თიანეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად „ნიკარემსტროის“ დირექტორიც დააკავეს. საქმე ეხებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

გამოძიების ინფორმაციით, სამუშაოები არასრულყოფილად შესრულდა, მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტმა კომპანიას თანხა სრულად ჩაურიცხა. საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარებისა და წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე აღიძრა.

# ქსენია სობჩაკი: „პუტინს ეშინია!“



რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ქსენია სობჩაკი აშშ-ს ეწვია. „ამერიკის ხმისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსეთში საკმაოდაა ძალები, რომლებსაც ესმით, თუ რა დამღუპველი გზით მიჰყავს პუტინს ქვეყანა.

— ჩვენი მიზანი აშშ-სთან და ევროკავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენაა! — განაცხადა ქალბატონმა ქსენიამ.

სობჩაკმა აღნიშნა, რომ რუსეთში ვითარება უარესდება. პუტინმა ხალხი მოატყუა, აუწყა რა, რომ სირიაში გაიმარჯვა. სინამდვილეში სირიაში ვითარება კიდევ უფრო გამძაფრდა. დასასრული არ უჩანს ომს უკრაინაშიც. შედეგად სახეზეა როგორც დანაკარგი რუს ჯარისკაცებს შორის, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალი. რუსეთის მოსახლეობაში გროვდება ბოღმა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ამოხეთქავს.

— მე არ მინდა, რუსეთში ახალი პუგაჩოვი ან რაზინი გამოჩნდეს! მე ვიცი, რუსული ბუნტი რა საშინელიც არის, — თქვა სობჩაკმა.

მან აღნიშნა, რომ პუტინს უნიკალური თვისება გააჩნია: კარგად ერკვევა ადამიანებში და უმალ ხვდება, მის წინაშე პროფესიონალი დგას თუ ჩვეულებრივი ყბედი ან მლიქვნელი, პროფესიონალები არ ეპიტნავება, რადგან მასზე ჭკვიანები არიან, მაგრამ მათ მაინც უსმენს, რადგან ისინი პროფესიონალები არიან.

— პუტინი ხედავს, საით მიექანება რუსეთი! მას უკვე ეშინია, რომ კადაფივით არ გაუსწორდნენ! — ამბობს ქსენია სობჩაკი.

# უკრაინამ და უნგრეთმა კომპრომისს მიაღწიეს



უჟგოროდში ერთმანეთს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბოდნარი და მისი უნგრელი კოლეგა მადიარი შეხვდნენ. მოლაპარაკების ძირითადი თემა უკრაინა-უნგრეთის ურთიერთობები იყო.

მადიარმა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. მან ხაზი გაუსვა, რომ ოფიციალური ბუდაპეშტი იმიერკარპატისპირეთის ავტონომიას არასდროს მოითხოვდა და არც მოითხოვს.

— რასაკვირველია, უნგრეთში არიან ცალკეული პარტიები თუ ჯგუფები, რომლებიც იმიერკარპატისპირეთის პრობლემას სხვანაირად განიხილავენ, მაგრამ ეს უნგრეთის ოფიციალური მთავრობის ან პარლამენტის პოზიცია არასოდეს ყოფილა და არც იქნება! — განაცხადა მადიარმა.

ბოდნარმა, თავის მხრივ, უნგრელი სტუმარი დაარწმუნა იმაში, რომ განათლების შესახებ კანონი, რომელმაც ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავდა. ვენეციის კომისიის დასკვნა ცალსახაა: მან კანონში დისკრიმინაცია ვერ დაინახა. მიუხედავად ამისა, კანონის ამოქმედებისას უკრაინის მთავრობა იმიერკარპატისპირეთში მცხოვრებ უნგრელ უმცირესობასაც ფართოდ ჩააბამს. ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რათა იქაურმა უნგრელებმა თავი კომფორტულად იგრძნონ.

— მოლაპარაკებებით კმაყოფილი ვარ. უკრაინა-უნგრეთის ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყო! იმედი მაქვს, რომ მალე ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა რუსეთის სახით ორივეს საერთო მტერი გვყავს, — განაცხადა მადიარმა.

# პორტუგალიელი კონტრმზვერავი რუსეთის აგენტი აღმოჩნდა



პორტუგალიის კონტრდაზვერვის თანამშრომელი ფედერიკო კალვარჰო მხილებულ იქნა, როგორც რუსეთის ჯაშუში.

დადგინდა, რომ ის რუსებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საიდუმლო ცნობებს გადასცემდა, გასამრჯელოდ კი ფულს იღებდა.

სასამართლომ კალვარჰოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## კალეიდოსკოპი

### შოტლანდიელს სათამაშო ნამდვილი ვეფხვი ეგონა



შოტლანდიელმა ფერმერმა სათამაშო ვეფხვი ცოცხალ ცხოველად მიიჩნია და პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა სათამაშო წაიღეს და ფერმერს განუცხადეს, რომ მას თავიანთ თილისმად აქცევენ.

ინციდენტი გვიან ღამით მოხდა, როდესაც 24 წლის ბრიუს გრაბი ფერმაში ძროხების დასახედად წავიდა.

— ფანარი მივანათე და დავინახე, რომ იქ ვეფხვი იჯდა, — განაცხადა ახალგაზრდა ფერმერმა, — ამ დროს სრულიად ფხიზელი ვიყავი და საერთოდ სასმელს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რომ სათამაშო ნამდვილი ცხოველი მეგონა.

გრაბმა პოლიციაში დარეკა და მტაცებლის თაობაზე აცნობა. ფერმისკენ შეიარაღებული პოლიციელები რამდენიმე მანქანით გაემართნენ. გარდა ამისა, ისინი დაუკავშირდნენ ახლომდებარე პარკს, სადაც გარეული ცხოველები ბინადრობდნენ და შეამოწმეს, იქიდან ვეფხვი ხომ არ იყო გაქცეული. პოლიციელების მოლოდინში გრაბი ვეფხვს თვალს არ აშორებდა, ის შიშობდა, რომ მტაცებელი ძროხებს შეუჭამდა, თუმცა შემდეგ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მტაცებელი ერთხელაც არ გატოკებულა. ის მანქანით მიუახლოვდა და მიხვდა, რომ მის წინ დიდი რბილი სათამაშო იყო. მისთვის უცნობია, თუ საიდან აღმოჩნდა იქ სათამაშო ვეფხვი.

### ბრაზილიელის სახლში ჭერიდან ვირი ჩამოვარდა



ერთ-ერთი ბრაზილიელის სახლში ჭერიდან ვირი ჩამოვარდა. ამ შემთხვევის ამსახველმა ვიდეომ ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალის ყურადღება მიიპყრო. ცხოველი სახლის სახურავზე კაჟაზეირასის მუნიციპალიტეტში აღმოჩნდა და შემდეგ შიგნით ჩავარდა, ვინაიდან სახლის გადახურვამ მის სიმძიმეს ვერ გაუძლო. ვირი შეეცადა, ტიხარს მოსჭიდებოდა, მაგრამ ამან ვერ უშველა. მის ვარდნას თვალს ადევნებდნენ სახლის პატრონები.

ამ ვარდნის შედეგად ცხოველი არ დაშავებულა. პირი, რომელიც ამ ყოველივეს ვიდეოზე იღებდა, ვარაუდობს, რომ ვირი სახლის სახურავზე სახლის გვერდით არსებული გორაკიდან მოხვდა.

# „ხალიფატთან“ ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა“

## გაეროს დამკვირვებლები: „არსებობს ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ-ქაიდას“ დაჯგუფებების გაერთიანების საფრთხე“



მარიამ მჭედლიშვილი

სირია-ერაყის ტერიტორიაზე შექმნილი უმსხვილესი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ რამდენიმე თვის წინ უკვე დაშლილი იყო. ყოფილი „ხალიფატი“ აღარ არსებობს. მისი ნარჩენები არ არიან ორიენტირებული ტერიტორიების მიტაცებაზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ისევ დიდი რისკების წინაშეა. ტერორიზმის საფრთხე არ მცირდება. ამაზე სპეციალისტების ანგარიშები მეტყველებს.

ტერორიზმის საფრთხეზე გაეროს უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ იმსჯელა. ითქვა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ფაზაში შედის, რაც საერთაშორისო საზოგადოების დიდ აქტივიზაციას მოითხოვს.

შარშან ტერორიზმთან მებრძოლების დიდი ძალისხმევით დაიშალა და დასუსტდა სირიაში და ერაყში, ასევე სამხრეთ ფილიპინებში მოქმედი „ხალიფატი“. ამჟამად საშიშია მათი ფილიალები და ცალკეული ჯგუფები.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ სახე იცვალა. ის წარმოადგენს ჰორიზონტალური იერარქიის გლობალურ ქსელს ფილიალებზე დასუსტებული კონტროლით.

გაეროს დამკვირვებლების განცხადებით, „ისლამური სახელმწიფოს“ მცირერიცხოვანი და მოტივირებული ჯგუფები მოაწყობენ ტერორისტულ აქტებს სირიისა და ერაყის ფარგლებს გარეთ. შესაძლოა, ეს იყოს ხალიფატის ჯარისკაცების სამშობლო.

„ისლამური სახელმწიფოსაგან“ განსხვავებით, მყარი და ძლიერია „ალ-ქაიდა“. ზოგიერთ რეგიონში ის უფრო მეტ საშიშროებას ქმნის, ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“.

დამკვირვებლები პროგნოზირებენ „ისლამური სახელმწიფოსა“ და ალ-ქაიდას დაჯგუფებების გაერთიანებას, რაც ბევრი რეგიონისათვის ახალი გამოწვევა იქნება.

მომხსენებლების თქმით, ალ-ქაიდას საკომუნიკაციო ცენტრი იემენშია. აქედან კონტროლდება მისი ყველა ტერორისტული ჯგუფი.

ალ-ქაიდას უმსხვილესი და უძლიერესი ფილიალი — ან-ნუსრა სირიაში, უმეტესად, იდლიბის პროვინციაში მოქმედებს. მას 11.000-მდე ჯიჰადისტი ჰყავს. ან-ნუსრა სხვა შეიარაღებული ჯგუფების შთანთქმის მეთოდს მიმართავს. ამისათვის გამოიყენება მუქარა, ძალადობა და მატერიალური სტიმული.

მომხსენებლების თქმით, ერთ-ერთი ყველაზე სარისკო ადგილი ამ კუთხით სომალია. იქ მოქმედებს ალ-ქაიდას ქვედანაყოფი ალ-შაბაბი.

ბევრი ნიშნის მიხედვით, ტერაქტების საფრთხე კავკასიაშიც არსებობს.

„ისლამურმა სახელმწიფომ“ რამდენიმე წლის წინ ჩრდილოეთ კავკასიაში დააარსა თავისი ვილაიეთი. ის არავის გაუუქმებია.

წინა წლებში არსებობდა კავკასიის იმარატის კავშირი ალ-ქაიდასთან. აშშ-ის წარმომადგენლები 2004 წელს ჩეჩნურ ტერორიზმს ალ-ქაიდასთან აკავშირებდნენ და აცხადებდნენ, რომ კავკასიაში ამ ტერორისტული ორგანიზაციიდან შედის იარაღი, ფული და ტექნოლოგიები. მაშინდელი კავკასიელი მებრძოლების გადარჩენილი ნაწილი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებშია. დაუზუსტებელი მონაცემებით, აღდგა კავკასიის იმარატი.

„ისლამური სახელმწიფოს“ დაშლის შემდეგ დამკვირვებლები ყველაზე მეტ საფრთხეს ალ-ქაიდასგან მოელიან. მის სახელთანაა დაკავშირებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენები, აშშ-ის საელჩოების აფეთქება ყენიასა და ტანზანიაში 1998 წელს, ტერაქტი სომალიში, რომელსაც 231 კაცი შეეწირა და სხვა ტერორისტული ქმედებები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თამაზ ჭეიშვილი:„ხელისუფალნო, მე თქვენ მძულხართ!“



ასე მიმართავს ხელისუფლებას მწერალი თამაზ ჭეიშვილი და ამის მიზეზსაც განმარტავს:

— უცხოეთში მდიდარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ არაფერი მაკლდა, არაფერი მენატრებოდა! ნოსტალგიამ მიმატოვებინა კომფორტი და ამ ჯოჯოხეთში დამაბრუნა!

ხუმრობა იქით იყოს, მიყვარს ხუმრობა, დღეს არ ვარ ხუმრობის ხასიათზე! საქართველო და ერი სულს ლაფავს, ჩინოვნიკები კი ნებივრობენ!

იქ, სადმე რომ დავრჩენილიყავი, თუნდაც სან პაულოში, განცხრომაში მეყოლებოდა ოჯახი, მაგრამ, მაპატიეთ, ჩემო უსაყვარლესნო, ნოსტალგიამ გადაწონა თქვენდამი სიყვარული და ამან უამრავი პრობლემა შეგიქმნათ!

ხელისუფალნო, მე თქვენ მძულხართ! როგორ შეიძლება, მიყვარდეს ის პარლამენტები, მინისტრები, ჩინოვნიკები, ვინც საქართველო ამ დღეში ჩააგდო, 1991 წლიდან დღემდე!

მე არ ვარ ბოროტი, მაგრამ 29-წლიანი სიძულვილი არ მანებებს თავს, მომყვება, მამძიმებს, ვაღიარებ ამას და მრცხვენია, ქრისტიანი მართლმადიდებელი სიძულვილს ვინახავ!

# ლიზა ყენია კონცერტის ორგანიზატორებმა გადააგდეს



მომღერალი ლიზა ყენია კონცერტის ორგანიზატორებმა გადააგდეს და ჰონორარი არ გადაუხადეს:

— ვიფიქრე, თავს შევიკავებდი და ამ თემას არ გავასაჯაროებდი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მატყუარა ადამიანის ვინაობა უნდა იცოდნენ ჩემმა კოლეგებმა, რათა ანალოგიურ სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ, როგორშიც მე და ჩემი ბენდის წევრები ვიმყოფებით. თან საკმაოდ მოხშირდა ეს ყველაფერი და დაზარალებულ მდგომარეობაშიც ბევრი მომღერალი და პერსონალია, რომლებიც ჯერ ხმას არ იღებენ.

2 იანვარს კლუბ „ბედ ლაუნჯში“ ბედობას ჩატარდა ივენთი, სადაც მიმიწვიეს ჩემს ბენდ „მიქსტურასთან“ ერთად. არ შემიძლია არ აღვნიშნო შეთანხმებული დრო, როცა უნდა დაგვეწყო მუშაობა 10 საათზე, გვთხოვა პერსონალმა, რომ დაჯავშნილი მაგიდები ვერ ივსებოდა ისე, როგორც უნდოდათ და დავიწყეთ 2 საათის დაგვიანებით.

გაუმართავი საუნდსისტემით, ხმის ინჟინერი, რომელიც საუნდჩეკზე იმყოფებოდა, ივენთის დროს აღარ მოვიდა, რადგან გვითხრა, რომ დათო სპარსიაშვილმა შეთანხმებული ჰონორარი არ გადაუხადა და ჩვენც ყოვლად გაუმართავ მდგომარეობაში ძლივს ჩავატარეთ საღამო.

იმ საღამოს თანხა არ მოგვცეს იმ მიზეზით, რომ მაგიდებმა ფული ბარათებით გადაიხადეს და ხელზე ახლა ვერ მოგცემთ თანხასო.

მას შემდეგ რამდენიმე დღე არანაირი თანხა არ დაგვირიცხეს. უამრავი ზარისა და თხოვნების შემდეგ დათო სპარსიაშვილმა გვითხრა, რომ დარიცხავდა თანხას, თუმცა დარიცხა ნახევარი. მას შემდეგ მაქსიმალურად უკონფლიქტოდ ვცდილობდით ამ თემის მოგვარებას და ვთხოვდით დარჩენილი თანხის დარიცხვას, რომელიც 2 იანვრის მერე დღემდე არ დაურიცხავს! ჩვენი დიდი შეცდომაა, რომ კონტრაქტისა და ხელმოწერის გარეშე ჩავატარეთ ეს საღამო სიტყვიერი შეთანხმებით, მაგრამ დათო სპარსიაშვილთან უშედეგო აღმოჩნდა სიტყვიერი შეთანხმება!!!

და, როგორც გავიგე, ამ ადამიანს ჰყავს უამრავი პერსონალი და მომღერალი მოტყუებულ მდგომარეობაში დატოვებული! და მონოტონური პასუხი აქვს: მაცადეთ ორშაბათამდე. იცნობდეთ სპარსოს...

# გიორგი შერმადინი ესპანელებს — საქართველოში კალათბურთი პოპულარულია

28 წლის გიორგი შერმადინს უკვე 4 შვილი ჰყავს, ბოლოს ტყუპი მაშინ შეეძინათ, როცა ოჯახი მალაგაში უნდა გადასულიყო. ახლა გიორგი ალჰაურინში ცხოვრობს და თავს ბედნიერად გრძნობს. რაც დრო გადის, შერმადინი სულ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება უნიკახაში, მისი სტატისტიკა ბოლო 2 თვეში წარმოუდგენლად გაიზარდა, — წერს ესპანური პრესა, სადაც შერმადინის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***— მალე ესპანეთის თასზე მნიშვნელოვანი თამაში იქნება. როგორ ემზადებით?***

— უნიკახაში შესანიშნავი სიტუაციაა. ჩვენ კარგად ვთამაშობთ კალათბურთს და მოგება გვსურს. თუმცა თასამდე არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი გველის ბასკონიის წინააღმდეგ.

***— ორი თვეა, თქვენი სტატისტიკა დიდებულია. როგორ ფიქრობთ, კიდევ შეგიძლიათ მომატება?***

— დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია. კარგ გუნდებს მუდამ აქვთ რესურსი წინსვლისთვის, ჩვენ კი კარგი გუნდი ვართ. მწვრთნელი მუდამ ამაზე გველაპარაკება ვარჯიშებზე. ვარჯიშებზე გაცილებით დავიხვეწეთ. ახლა, ვფიქრობ, იმ სტადიაზე ვართ, როცა ერთმანეთის უკეთ გვესმის. მურსიასთან თამაშში ჩვენი დაცვა გაცილებით სტაბილური იყო. ჩვენ უკეთ გვესმის მწვრთნელის იდეების. უნიკახაში ახლა შესანიშნავი ატმოსფეროა და ყველაფერი კარგად მიდის.

***— თანამედროვე კალათბურთში უკვე იშვიათად შეხვდებით ცენტრებს, რომლებზეც ბევრია დამოკიდებული.***

— არსებობენ მწვრთნელები, რომელთაც უბრალოდ არ სურთ 215 სანტიმეტრზე მაღალი ბიჭები. ისინი კალათბურთელებს მონაცემების მიხედვით არჩევენ. ხოანი ასეთი მწვრთნელი არ არის. მას სჯერა, რომ მაღალი ცენტრები მეტოქის დისბალანსის უებარი საშუალებაა. მეც ვფიქრობ, რომ მოედანზე ყველანაირი კალათბურთელის ადგილია. ყველა კაილ ჰეინესი ვერ იქნება.

***— რატომ არის თქვენი სტატისტიკა უკეთესი ესპანეთში, ვიდრე ევროლიგაში?***

— არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს. დიახ, ესპანეთის ჩემპიონატში უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ევროლიგაში. ალბათ, ის არის მიზეზი, რომ ესპანეთის ჩემპიონატში კალათბურთელებს უკეთ ვიცნობ და ვიცი, რას ველოდო მათგან. მოკლედ, მიჭირს სპეციფიკური მიზეზის დასახელება.

***— იქნებ ევროლიგა შეიცვალა და ის ისეთი აღარ არის?***

— ყოველი სეზონი ძალიან ძლიერია, რადგან იქ ევროპის საუკეთესო კალათბურთელები თამაშობენ. დიახ, ახლა მეტი მატჩი იმართება, თუმცა ევროპაში ისევ საუკეთესო ტურნირია.

***— თქვენ საჯარიმოებს 90%-იანი სიზუსტით ესვრით, რაც ცენტრისთვის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. როგორ ახერხებთ ამას?***

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს უფრო მენტალური საკითხია, ვიდრე ოსტატობის გამოვლინება. ჟალგირისთან 5 თუ 6 საჯარიმო ავაცილე. ყოველთვის ვერ გაიგებ, რატომ ხდება ეს. ყოფილა შემთხვევა, რომ ზედიზედ 15 ჩამიგდია. ამიტომაც მგონია, რომ საჯარიმოების სიზუსტე ძირითად მენტალური საკითხია. რადგან ვაგდებ საჯარიმოებს, ესე იგი საკუთარ თავში იმ მომენტში დარწმუნებული ვარ.

***— სად ისწავლეთ უფრო დაბალი კალათბურთელებისთვის შესაფერისი თამაშის დეტალები?***



— თუ „ჰუკს“ გულისხმობთ, გეტყვით, რომ არავის უსწავლებია, რომ ზუსტად ასე მესროლა. ეს მე ბუნებრივად მახასიათებს, რაც კალათბურთის თამაში დავიწყე. მაშინვე მივხვდი, რომ ასე მეტოქის ჩამოცილება შემეძლო. ახლა ყველამ იცის, რომ უფრო მკაცრად უნდა მეთამაშოს მარცხენა ხელზე, რომელიც გასაძლიერებელი მაქვს. მე ამ ნაკლზე ყოველდღიურად ვმუშაობ ბონი ნდონგთან. მარცხენა ხელი თამაშში უკეთ უნდა გამოვიყენო.

***— თქვენზე ამბობენ, რომ კალათბურთის თამაში ძალიან გვიან დაიწყეთ.***

— კალათბურთის თამაში რეალურად მხოლოდ 16 წლის ასაკიდან დავიწყე. ერთხელ სკოლაში შემამჩნიეს და თბილისის მაკაბიში მიმიწვიეს. ყოველდღიურად ვემზადებოდი სარეზერვო გუნდთან ერთად, შემდეგ კი პირველ გუნდში გადავედი. ერთხელ მატჩში 89 ქულა ჩავაგდე, ლიგის ლიდერი ვიყავი. დიახ, ეს არ იყო ძლიერი ლიგა, თუმცა მაინც... მალე საბერძნეთში გადავედი.

***— რატომ არის ასე, რომ საქართველოს მხოლოდ ფორვარდებში ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეები, მცველებში კი ნაკლებად?***

— ვერ გეტყვით, რატომ არის ასე. იმედი მაქვს, რომ პერიმეტრზე მოთამაშეებიც მოუმატებენ. მაღალი ფორვარდები მართლაც დიდებული გვყავს: ფაჩულია, შენგელია, ცქიტიშვილი... საქართველოში კალათბურთი ძალიან პოპულარულია, ნაკრების თამაშებზე სპორტის სასახლეში 12.000 ადამიანი იკრიბება.

***— თქვენ სულ მაღალ დონეზე თამაშობთ, მაგრამ მოედანზე დიდ დროს არ ატარებთ. ეს მწვრთნელის ტაქტიკის ნაწილია?***

— არავინ იცის თამაშის წინ, თუ ვინ რამდენს ითამაშებს. ის დრო, რაც მეძლევა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. ყოველი მოცემული წუთი შანსია და ის არ უნდა დაკარგო. როცა მოედანზე შევდივარ, საკუთარ თავს შევძახებ ხოლმე, გააკეთე ყველაფერი, აგრძნობინე ყველას, რომ მოედანზე ხარ. კალათბურთი ასეთია. ახლა ცოტა ძნელი სანახავია, მოთამაშე, რომელსაც 35 წუთს ათამაშებენ.

***— ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ გუნდი ფარიდან 9 მეტრში იწყებს თავის დაცვას, არ გიჭირთ?***

— ჩემთვის ეს არცთუ ძნელია. საკმაოდ სწრაფად შემიძლია სირბილი, სხვა ცენტრებისგან განსხვავებით, იმიტომ რომ „მძიმე“ არა ვარ. რა თქმა უნდა, ფარიდან შორს თამაში იოლი სულაც არ არის, მაგრამ ყოველთვის მობილიზებული ვარ და უკეთ და უკეთ გამომდის.

**მიხეილ ყორყოლიანი**

**განცხადება**

**ქ.თბილისის ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილთან წარმოებაშია სამემკვიდრეო საქმე 1994 წლის 19 დეკემბერს გარდაცვლილი არევატ დავითის ასულ აირაპეტოვის დანაშთ ქონებაზე, მდებარე: ქ.თბილისი, ფიროსმანის ქუჩა №10-ში.**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● ფსორიაზის მკურნალობა მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით, ფსორიაზის შამპუნით და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით. 597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში). ტელ: 599-45-88-66;

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლურიდანარკოტიკულიდამოკიდებულებისგანსწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

**მალამო ძვალ-სახსართა დაავადებების სამკურნალოდ**

მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს. ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

# ბრიტანეთი ლონდონური დერბის მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე საინტერესო ტურია ევროპაში, მაგრამ 2 მატჩი მაინც უნდა გამოვარჩიოთ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ლონდონური დერბი – ტოტენჰემი-არსენალი. ასევე საინტერესო მატჩი იქნება იტალიაში, სადაც სერია ა-ს ლიდერი, ნაპოლი, შინ დაუხვდება მესამეადგილოსან რომის ლაციოს.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.02 ტოტენჰემი-არსენალი | 2.0 | 3.75 | 3.4 |
| 10.02 სტოკი-ბრაიტონი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 10.02 ევერტონი-კრ.პალასი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 10.02 სუონსი-ბარნლი | 2.5 | 2.9 | 3.2 |
| 10.02 ვესტ ჰემი-უოტფორდი | 2.5 | 2.9 | 3.2 |
| 10.02 სიტი-ლესტერი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 11.02 ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 3.25 | 3.1 | 2.3 |
| 11.02 ნიუკასლი-მანჩესტერი | 5.5 | 3.8 | 1.61 |
| 11.02 საუთჰემპტონი-ლივერპული | 4.33 | 3.8 | 1.75 |
| 12.02 ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი | 1.33 | 5.0 | 9.0 |

**ტოტენჰემი-არსენალი**

ტოტენჰემი: ტრავმ-არავინ

არსენალი: ტრავმ-დანი უელბეკი, სანტი კაზორლა

**სტოკი-ბრაიტონი**

სტოკი: ტრავმ-არავინ

ბრაიტონი: ტრავმ-ისაია ბრაუნი

**ევერტონი-კრ.პალასი**

ევერტონი: ტრავმ-ლეიტონ ბაინესი

კრ.პალასი: ტრავმ-ბაკარი საკო, სკოტ დანი, ჯეისონ პუჩეონი, ჯეფ შლუპი

**სუონსი-ბარნლი**

სუონსი: ტრავმ-რენატო სანჩესი

ბარნლი: ტრავმ-სტივენ დეფო, ჯონათან უოლტერსი, კრის ვუდი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

**ვესტ ჰემი-უოტფორდი**

ვესტ ჰემი: ტრავმ-პედრო ობიანგი, მარკო არნაუტოვიჩი, მანუელ ლანძინი, ენდი კეროლი, ედიმილსონ ფერნანდესი

უოტფორდი: ტრავმ-მოლა ვოგი, კიკო ფემენია, მიგელ ბრიტოსი, ნათან ჩალობა

**სიტი-ლესტერი**

სიტი: ტრავმ-ლეროი სანე, ფაბიან დელფი, გაბრიელ ჟესუსი, ბენჯამინ მენდი

ლესტერი: ტრავმ-ვეს მორგანი

**ჰადერსფილდი-ბორნმუთი**

ჰადერსფილდი: ტრავმ-კრის ლავი, ელიას კაჩუნგა

ბორნმუთი: ტრავმ-ადამ სმიტი, ჯერმეინ დეფო, ტაირონ მინგსი

**ნიუკასლი-მანჩესტერი**

ნიუკასლი: ტრავმ-ჟესუს გომესი

მანჩესტერი: ტრავმ-მარუან ფელაინი, დეილი ბლინდი, ერიკ ბაილი

**საუთჰემპტონი-ლივერპული**

საუთჰემპტონი: ტრავმ-ჩარლი ოსტინი

ლივერპული: ტრავმ-რაგნარ კლავანი, ადამ ლალანა

**ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი**

ჩელსი: ტრავმ-ადრიან კრისტიანსენი, ალვარო მორატა

ვესტ ბრომვიჩი: ტრავმ-ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 26 | 22 | 3 | 1 | 74-19 | 69 |
| 2.მანჩესტერი | 26 | 17 | 5 | 4 | 51-18 | 56 |
| 3.ლივერპული | 26 | 14 | 9 | 3 | 59-31 | 51 |
| 4.ჩელსი | 26 | 15 | 5 | 6 | 46-23 | 50 |
| 5.ტოტენჰემი | 26 | 14 | 7 | 5 | 51-24 | 49 |
| 6.არსენალი | 26 | 13 | 6 | 7 | 51-35 | 45 |
| 7.ბარნლი | 26 | 9 | 9 | 8 | 21-23 | 36 |
| 8.ლესტერი | 26 | 9 | 8 | 9 | 38-35 | 35 |
| 9.ბორნმუთი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-37 | 31 |
| 10.ევერტონი | 26 | 8 | 7 | 11 | 29-45 | 31 |
| 11.უოტფორდი | 26 | 8 | 6 | 12 | 37-45 | 30 |
| 12.ვესტ ჰემი | 26 | 6 | 9 | 11 | 32-46 | 27 |
| 13.ბრაიტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 21-35 | 27 |
| 14.კრ.პალასი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-39 | 27 |
| 15.საუთჰემპტონი | 26 | 5 | 11 | 10 | 28-38 | 26 |
| 16.ნიუკასლი | 26 | 6 | 7 | 13 | 24-36 | 25 |
| 17.სუონსი | 26 | 6 | 6 | 14 | 19-37 | 24 |
| 18.სტოკი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-52 | 24 |
| 19.ჰადერსფილდი | 26 | 6 | 6 | 14 | 19-46 | 24 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 3 | 11 | 12 | 21-37 | 20 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.02 ვილიარეალი-ალავესი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 10.02 მალაგა-ატლეტიკო | 7.0 | 3.6 | 1.57 |
| 10.02 ლეგანესი-ეიბარი | 3.0 | 2.9 | 2.6 |
| 10.02 რეალი-სოსიედადი | 1.22 | 7.0 | 10.0 |
| 11.02 სევილია-ხირონა | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 11.02 ბარსელონა-ხეტაფე | 1.11 | 9.0 | 21.0 |
| 11.02 სელტა-ესპანიოლი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 11.02 ვალენსია-ლევანტე | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 12.02 დეპორტივო-ბეტისი | 2.2 | 3.6 | 3.0 |

**ვილიარეალი-ალავესი**

ვილიარეალი: ტრავმ-რობერტო სორიანო, ადრიან მარინი, რამირო გუერა, რუბენ სემედო, ნიკოლა სანსონე, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

**ალავესი: ტრავმ-ექტორი**

მალაგა-ატლეტიკო

მალაგა: ტრავმ-მიგელ ტორესი, ადალბერტო პენარანდა, დიეგო როლანი, ხუანკარი

ატლეტიკო: ტრავმ-არავინ

**ლეგანესი-ეიბარი**

ლეგანესი: ტრავმ-მაურო, ალექსანდერ შიმანოვსკი

ეიბარი: ტრავმ-პაულო ოლივეირა, სერგი ენრიხი

**რეალი-სოსიედადი**

რეალი: ტრავმ-დანი სებალოსი, ხესუს ვალიეხო

სოსიედადი: ტრავმ-არავინ

**სევილია-ხირონა**

სევილია: ტრავმ-სებასტიან ყორშია, სიმონ კიაერი

ხირონა: ტრავმ-არავინ

**ბარსელონა-ხეტაფე**

ბარსელონა: ტრავმ-ტომას ვერმალენი

ხეტაფე: ტრავმ-მარკელ ბერგარა

**სელტა-ესპანიოლი**

სელტა: ტრავმ-უგო მალო

ესპანიოლი: ტრავმ-არავინ

**ვალენსია-ლევანტე**

ვალენსია: ტრავმ-ეზეკიელ გარაი, ანდრეას პერეირა

ლევანტე: ტრავმ-რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

**დეპორტივო-ბეტისი**

დეპორტივო: ტრავმ-სიდნეი, პედრო მოსკერა

ბეტისი: ტრავმ-ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 22 | 18 | 4 | 0 | 60-11 | 58 |
| 2.ატლეტიკო | 22 | 14 | 7 | 1 | 33-9 | 49 |
| 3.ვალენსია | 22 | 12 | 4 | 6 | 42-26 | 40 |
| 4.რეალი | 21 | 11 | 6 | 4 | 45-21 | 39 |
| 5.ვილიარეალი | 22 | 11 | 4 | 7 | 33-26 | 37 |
| 6.სევილია | 22 | 10 | 3 | 9 | 28-34 | 33 |
| 7.ეიბარი | 22 | 9 | 5 | 8 | 31-34 | 32 |
| 8.სელტა | 22 | 9 | 4 | 9 | 39-32 | 31 |
| 9.ხირონა | 22 | 8 | 7 | 7 | 31-29 | 31 |
| 10.ბეტისი | 22 | 9 | 3 | 10 | 37-45 | 30 |
| 11.ხეტაფე | 22 | 7 | 8 | 7 | 26-21 | 29 |
| 12.ლეგანესი | 21 | 8 | 5 | 8 | 20-21 | 29 |
| 13.ბილბაო | 22 | 6 | 9 | 7 | 24-25 | 27 |
| 14.სოსიედადი | 22 | 7 | 5 | 10 | 41-40 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 19-29 | 25 |
| 16.ალავესი | 22 | 7 | 1 | 14 | 19-32 | 22 |
| 17.ლევანტე | 22 | 3 | 11 | 8 | 20-32 | 20 |
| 18.დეპორტივო | 22 | 4 | 5 | 13 | 24-51 | 17 |
| 19.ლას პალმასი | 22 | 5 | 2 | 15 | 17-50 | 17 |
| 20.მალაგა | 22 | 3 | 4 | 15 | 14-35 | 13 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.02 ჰოფენჰაიმი-მაინცი | 1.67 | 4.0 | 4.75 |
| 10.02 დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 10.02 აინტრახტი-კიოლნი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 10.02 ლევერკუზენი-ჰერტა | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 10.02 ჰანოვერი-ფრაიბურგი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 10.02 ბაიერნი-შალკე | 1.28 | 5.0 | 9.0 |
| 11.02 შტუტგარტი-გლადბახი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 11.02 ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.05 | 3.4 | 3.6 |

**ჰოფენჰაიმი-მაინცი**

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-რობინ ჰაკი, ფელიქს პასლაკი

მაინცი: ტრავმ-არავინ

**დორტმუნდი-ჰამბურგი**

დორტმუნდი: ტრავმ-ანდრეი იარმოლენკო, მარსელ შმლეცერი, მაქსიმილიან ფილიპი

ჰამბურგი: ტრავმ-ნიკოლა მიულერი

**აინტრახტი-კიოლნი**

აინტრახტი: ტრავმ-დავიდ აბრაჰამი, ჯონათან დე გუზმანი

კიოლნი: ტრავმ-ტიმო ჰორნი, პაველ ოლკოვსკი, ბირკ რისა, იან ბიშეკი, იუია ოსაკო, ტიმ ჰანდვერკერი, ლეონარდო ბიტენკურტი, მარსელ რიისე

**ლევერკუზენი-ჰერტა**

ლევერკუზენი: ტრავმ-არავინ

ჰერტა: ტრავმ-რუნ იარშტეინი, ონდრეი დუდა, მიჩელ ვეიზერი, კარიმ რეკიკი

**ჰანოვერი-ფრაიბურგი**

ჰანოვერი: ტრავმ-ჯოელ სარენსენ ბაზეე, ჯონატასი, ფელიპე

ფრაიბურგი: ტრავმ-იორიკ რავე, მიკელ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

**ბაიერნი-შალკე**

ბაიერნი: ტრავმ-არტურო ვიდალი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

შალკე: ტრავმ-უესტონ მაკკეინი

**შტუტგარტი-გლადბახი**

შტუტგარტი: ტრავმ-ჰოლგერ ბადშტურბერი, მატიას ციმერმანი

გლადბახი: ტრავმ-ოსკარ ვენდტი, იან სომერი, ჯულიო ვილალბა, რაფაელი, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმა ტრაორე, ლასლო ბენეში

**ვერდერი-ვოლფსბურგი**

ვერდერი: ტრავმ-ფილიპ ბარგფრაიდი, ლამინე სანე, ფინ ბარტელსი

ვოლფსბურგი: ტრავმ-ფელიქ უდოკაი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 17 | 2 | 2 | 51-16 | 53 |
| 2.ლევერკუზენი | 21 | 9 | 8 | 4 | 41-27 | 35 |
| 3.ლაიპციგი | 21 | 10 | 5 | 6 | 33-29 | 35 |
| 4.დორტმუნდი | 21 | 9 | 7 | 5 | 45-29 | 34 |
| 5.შალკე | 21 | 9 | 7 | 5 | 33-27 | 34 |
| 6.აინტრახტი | 21 | 9 | 6 | 6 | 26-23 | 33 |
| 7.აუგსბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-26 | 31 |
| 8.გლადბახი | 21 | 9 | 4 | 8 | 30-33 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 21 | 7 | 7 | 7 | 32-33 | 28 |
| 10.ჰანოვერი | 21 | 7 | 7 | 7 | 29-31 | 28 |
| 11.ჰერტა | 21 | 6 | 9 | 6 | 28-28 | 27 |
| 12.ფრაიბურგი | 21 | 5 | 10 | 6 | 22-35 | 25 |
| 13.ვოლფსბურგი | 21 | 4 | 12 | 5 | 24-25 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 6 | 3 | 12 | 17-27 | 21 |
| 15.ვერდერი | 21 | 4 | 8 | 9 | 18-26 | 20 |
| 16.მაინცი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-37 | 20 |
| 17.ჰამბურგი | 21 | 4 | 5 | 12 | 17-30 | 17 |
| 18.კიოლნი | 21 | 3 | 4 | 14 | 17-37 | 13 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.02 სპალი-მილანი | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 10.02 კროტონე-ატალანტა | 4.33 | 3.5 | 1.9 |
| 10.02 ნაპოლი-ლაციო | 1.67 | 4.2 | 5.0 |
| 11.02 სასუოლო-კალიარი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 11.02 ინტერი-ბოლონია | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 11.02 კიევო-ჯენოა | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 11.02 სამპდორია-ვერონა | 1.44 | 4.6 | 6.5 |
| 11.02 ტორინო-უდინეზე | 1.83 | 3.5 | 4.2 |
| 11.02 რომა-ბენევენტო | 1.15 | 7.5 | 17.0 |

**სპალი-მილანი**

სპალი: ტრავმ-ფელიპე, ეროს სკიავონი, ფრანჩესკო ვიკარი, მარკო ბორიელო

მილანი: ტრავმ-რიკარდო როდრიგესი, ფრანკ კესიე

**კროტონე-ატალანტა**

კროტონე: ტრავმ-ფედერიკო ჩეჩერინი, მარიო სამპრისი, არისტოტელეს რომერო, ადრიან სტოიანი, ალექსანდარ ტონევი, მარკო ტუმინელო

ატალანტა: ტრავმ-ალესანდრო ბასტონი

**ნაპოლი-ლაციო**

ნაპოლი: ტრავმ-მარიო რუი, ჯორჯინიო, არკადიუშ მილიკი

ლაციო: ტრავმ-ლუკას ლეივა, დავიდე დი ჯენარო

**სასუოლო-კალიარი**

სასუოლო: ტრავმ-დომენიკო ბერარდი, ტიმო ლეხტერი

კალიარი: ტრავმ-ალესიო გრაგნო, ფილიპო რომანა, გრეგორი ვან დერ ვილი, ლუკა ჩეპიტელი

**ინტერი-ბოლონია**

ინტერი: ტრავმ-მაურო იკარდი, მარსელო ბროზოვიჩი

ბოლონია: ტრავმ-სებასტიან დე მაიო, სიმონე ვერდი, ანჯელო და კოსტა, ანტონიო მირანტე, როდრიგო პალასიო, ფილიპ ჰელანდერი, ხუან მანუელ ვალენსია

**კიევო-ჯენოა**

კიევო: ტრავმ-ნენად ტომოვიჩი, ლუკას კასტრო

ჯენოა: ტრავმ-ალესანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო, ლუკა როზეტინი

**სამპდორია-ვერონა**

სამპდორია: ტრავმ-დენის პრაეტი, ლუკას ტორეირა, გასტონ რამირესი

ვერონა: ტრავმ-ჯამპაოლო პაცინი, რომულო, დანიელ ბესა, ალესიო ჩერჩი, მატია ძაგანი

**ტორინო-უდინეზე**

ტორინო: ტრავმ-ლიანკო

უდინეზე: ტრავმ-დანილო, ანტონინ ბარაკი, ალი ადნანი

**რომა-ბენევენტო**

რომა: ტრავმ-პატრიკ შიკი, ფედერიკო ფაციო, დანიელე დე როსი, რაჯა ნაინგოლანი

ბენევენტო: ტრავმ-სამუელ არმენტეროსი, ჯორჯ პუსკასი, მამადუ კანუ, ლუკა ანტეი, ანდრეა კოსტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 23 | 19 | 3 | 1 | 50-14 | 60 |
| 2.იუვენტუსი | 23 | 19 | 2 | 2 | 59-15 | 59 |
| 3.ლაციო | 23 | 14 | 4 | 5 | 58-29 | 46 |
| 4.ინტერი | 23 | 12 | 9 | 2 | 38-18 | 45 |
| 5.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 33-17 | 44 |
| 6.სამპდორია | 23 | 11 | 5 | 7 | 42-32 | 38 |
| 7.ატალანტა | 23 | 10 | 6 | 7 | 35-27 | 36 |
| 8.მილანი | 23 | 10 | 5 | 8 | 30-30 | 35 |
| 9.უდინეზე | 23 | 10 | 3 | 10 | 36-32 | 33 |
| 10.ტორინო | 23 | 7 | 12 | 4 | 33-29 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 23 | 8 | 7 | 8 | 33-29 | 31 |
| 12.ბოლონია | 23 | 8 | 3 | 12 | 28-35 | 27 |
| 13.ჯენოა | 23 | 6 | 6 | 11 | 18-25 | 24 |
| 14.კალიარი | 23 | 7 | 3 | 13 | 22-34 | 24 |
| 15.კიევო | 23 | 5 | 7 | 11 | 21-40 | 22 |
| 16.სასუოლო | 23 | 6 | 4 | 13 | 14-41 | 22 |
| 17.კროტონე | 23 | 5 | 5 | 13 | 18-40 | 20 |
| 18.სპალი | 23 | 3 | 8 | 12 | 23-42 | 17 |
| 19.ვერონა | 23 | 4 | 4 | 15 | 22-46 | 16 |
| 20.ბენევენტო | 23 | 2 | 1 | 20 | 13-51 | 7 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.02 ტულუზა-პსჟ | 17.0 | 6.5 | 1.18 |
| 10.02 დიჟონი-ნიცა | 2.62 | 3.4 | 2.62 |
| 10.02 გენგამი-კაენი | 2.15 | 3.0 | 3.6 |
| 10.02 ბორდო-ამიენი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 10.02 ანჟე-მონაკო | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 10.02 მეცი-მონპელიე | 3.25 | 3.1 | 2.3 |
| 11.02 სტრასბური-ტრუა | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 11.02 ნანტი-ლილი | 1.85 | 3.2 | 4.8 |
| 11.02 ლიონი-რენი | 1.5 | 4.4 | 6.0 |

**ტულუზა-პსჟ**

ტულუზა: ტრავმ-სომალია, ენდი დელო, კრისტოფერ ჟულიენი, ფრანსუა მობანჯე

პსჟ: ტრავმ-ტიაგო მოტა, კილიან მბაპე

**დიჟონი-ნიცა**

დიჟონი: ტრავმ-რომან ამალფიტანო, ადამ ლანგი, ვესლი ლაუტოა

ნიცა: ტრავმ-ალან სენტ-მაქსიმი, მარლონი, კრისტოფერ ჟალე, მაქსიმ ლე მარჩანდი, რემი ვოლტერი

**გენგამი-კაენი**

გენგამი: ტრავმ-ჯონათან პერეირა, აბდულ კამარა

კაენი: ტრავმ-ჯონატან დელაპლასე, ადამ მბენგუე

**ბორდო-ამიენი**

ბორდო: ტრავმ-ვუკასინ იოვანოვიჩი, იგორ ლეშჩუკი, ჯერემი ტულანანი, ალექსანდერ მენდი

ამიენი: ტრავმ-სერჟ გაპკე, დანილო აველარი, ქვენტინ კორნე, გუსუმა ფოფანა

**ანჟე-მონაკო**

ანჟე: ტრავმ-ენცო კრიველი, მეჰდი ტარატი, სალიუ გისი

მონაკო: ტრავმ-გვიდო კარილო, რაშიდ გეზალი, ადამა ტრაორე, ტერენს კონგოლო

**მეცი-მონპელიე**

მეცი: ტრავმ-მეტიუ დოსევი, მილან ბიშევაჩი, ბენუა ასოუ-ელოტო, ტომას დიდილონი, ჟან ჟოფრე, კაფუ, მეტიუ უდოლი, ალბი იალოუ

მონპელიე: ტრავმ-ჟერომ რუსილონი, სტეფან სესიონიონი, კევინ ბერიგო

**სტრასბური-ტრუა**

სტრასბური: ტრავმ-ალექსანდერ ოუკიდა, ბენჯამინ კორნე

ტრუა: ტრავმ-ჰიუნ ჯუნ სუკი, კრისტოფერ ჰერელე, ტრისტან დინომე

**ნანტი-ლილი**

ნანტი: ტრავმ-ჩიდოზ ავაზიემი, კალიფა კულიბალი

ლილი: ტრავმ-ადამა სუმარო, კევინ მალკო

**ლიონი-რენი**

ლიონი: ტრავმ-კლემენტ გრენიე

რენი: ტრავმ-ჯეიმს ედვარდ ლეა სილიკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 20 | 2 | 2 | 75-17 | 62 |
| 2.მარსელი | 24 | 15 | 6 | 3 | 53-27 | 51 |
| 3.მონაკო | 24 | 15 | 5 | 4 | 56-26 | 50 |
| 4.ლიონი | 24 | 14 | 6 | 4 | 54-28 | 48 |
| 5.ნანტი | 24 | 11 | 4 | 9 | 24-24 | 37 |
| 6.მონპელიე | 24 | 8 | 10 | 6 | 22-20 | 34 |
| 7.ნიცა | 24 | 10 | 4 | 10 | 29-34 | 34 |
| 8.ბორდო | 24 | 9 | 5 | 10 | 29-32 | 32 |
| 9.გენგამი | 24 | 9 | 5 | 10 | 25-32 | 32 |
| 10.რენი | 24 | 9 | 4 | 11 | 28-33 | 31 |
| 11.კაენი | 24 | 9 | 3 | 12 | 18-28 | 30 |
| 12.სტ.ეტიენი | 24 | 8 | 5 | 11 | 24-38 | 29 |
| 13.დიჟონი | 23 | 8 | 4 | 11 | 33-46 | 28 |
| 14.სტრასბური | 24 | 7 | 6 | 11 | 28-41 | 27 |
| 15.ტულუზა | 24 | 7 | 5 | 12 | 22-32 | 26 |
| 16.ანჟე | 24 | 5 | 10 | 9 | 27-34 | 25 |
| 17.ამიენი | 24 | 7 | 4 | 13 | 20-27 | 25 |
| 18.ლილი | 24 | 7 | 4 | 13 | 21-37 | 25 |
| 19.ტრუა | 23 | 7 | 3 | 13 | 22-32 | 24 |
| 20.მეცი | 24 | 5 | 3 | 16 | 23-45 | 18 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 12 თებერვალი

05.15-06.55 სამთოსათხილამურო.

06.50 მ/ფ "ჩანჩქერიანი იუწიერები" (მ.შინი) 08.45-10.35 სამთოსათხილამურო. ფინალი 10.35-10.55 ოლიმპიური გადაცემა. 11.00 დოკ/ფ "წილდებულები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 12.15 მხ/ფ "[illegible]" 14.10-15.00 ბიატლონი. 15.30 დოკ/ფ "ტრამპლინი" 16.00-16.50 ბიატლონი. 16.50-18.25 ტრამპლინიდან ხტომა. ფინალი. 18.25-18.55 ოლიმპიური გადაცემა. 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.00 ტ/სერ. "ელემენტარული" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.30 მხ/ფ "[illegible]" 00.20 ოლიმპიადა

06.30, 19.03 სერ. "დასაწყისი" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.15 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "ელიფი" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "ტყუილი" 17.45 სერ. "სოდვილი" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ფავორიტი" 23.30 სერ. "ღირსების საქმე" 7 სერ. 01.00 მხ/ფ "ზღვისპირა ქალაქი" 02.45 მხ/ფ "ამბოხები 657" 04.45 მხ/ფ "ბინძური ომები"

06.00, 18.50 სერ. "მეორე შანსი" 07.00, 20.40 სერ. "დიდი ოჯახი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ბედის ანაბარა" 15.40 სერ. "მზიანი დღეები" 22.00 კომედი შოუ 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30, 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

